ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 7 ნოემბერი 2002 №212 (1734) | ფასი 50 თეთრი


# თბილისური დერბი
## იტალია 1:0 ხორვატია
## შუშაკი, კარნევალი, შტელინი, ცაკარიასი, გალიარდო და მზესუმზირა

გუშინ იტალიაში გადადებული ტურის მატჩები გაიმართა, ჩვენთან კი შეწყვეტილი სერიების ტური იყო.

ფოთის „კოლხეთს" ერთი თვე და ერთი დღეა, არ მოუგია და ნავსი თავისსავე „ფაზისზე" გატეხა ბოლნისის „სიონის" ძლევით. თუმცა ერთი თვე რაა, როცა „ბათუმი" რვაჯერ მეტი ხნის მანძილზე ელოდა საშინაო გამარჯვებას – ტრიბუნებშემოძარცვულ ზღვისპირა სტადიონზე ბოლოს 17 მარტს მოიგო. თბილისის „დინამომ" კი სულაც პირველად წააგო „ეროვნულზე" ჩემპიონატის მატჩი ივო შუშაკის ხელში.

გუშინდელ მე-15 ტურში გამოსარჩევი ამბები სხვაც იყო, მაგრამ უმთავრესი, ცხადია, „დინამოს" მარცხია.

მატჩამდე „ვიტ ჯორჯიას" თავკაცი ჯანი კარნევალი ისე ჯიუტად ამტკიცებდა, „დინამოს" მოვუგებთო, დიდ თავხედობაში თუ არა, სითამამეში ნაღდად ჩაეთვალა, მაგრამ სცოდნია კაცს რასაც ამბობდა. აი, ივო შუშაკმა კი მატჩამდე სიფრთხილე ახსენა და ისიც მართალი გამოდგა – „დინამომ" წლეულს 5 ქულა დაკარგა და ხუთივე კარნევალის გუნდთან.

შუშაკმა ნამატჩევს თქვა, ერთი შეცდომის თამაში იყოო, ის ერთი შეცდომა კი „დინამომ" დაუშვა.

ჩემპიონ „ტორპედოს" გორში ჩემპიონურად არ უთამაშია, მაგრამ როგორც ითამაშა, „დილას" დასამარცხებლად საკმარისი იყო, ქუთაისში კი საჩემპიონო ხასიათზე დაბრუნდა – „დინამოს" მარცხის ამბავმა გორშივე მიუსწრო.

გურჯაანში „ლოკომოტივის" პრეზიდენტი... [see below]



დინამო — ვიტ ჯორჯია 0:1. ლევან მელქაძემ დინამოელი მცველები გვარიანად გააწვალა

შედგა. როგორი ფეხბურთელია? წნორული „მილანის" ქომაგმა იშვიათად რომ მეტოქე გუნდის მოთამაშეს ტაში დაუკრას, გალიარდოს ჩახვეულმა პასებმა კი დააკვრევინა.

ტური ტურად და, გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაც შედგა. მტყუან-მართალი გაარჩიეს და დასასჯელი, ვისზეც ხელი მიუწვდათ, დასაჯეს. აი, იმ სამტრედიელ პოლიციელებს, პირველი ლიგის მატჩისას მზესუმზირას რომ აკნატუნებდნენ და კარგი „ბოევიკივით" უყურებდნენ ქვადაშენილი მსაჯების საცოდაობას, ფედერაციის დისციპლინარები ვერაფერს დააკლებენ.

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები


იმზარ ზენაიშვილი ·

ბლედიდან




# ქალბატონები და პიონერები
## დედოფალი ისევ ქართული ფიგურაა
## ყოჩაღ, ძმაო: კაცები ქალებივით იბრძვიან

ორმილიონიანი სლოვენია დიდი მასშტაბის სპორტულ ასპარეზობათა მასპინძლობას მიჩვეულა. აი, წლეულსაც მარიბორში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა, ამჟამად ათასწლოვან ბლედში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა მიმდინარეობს, დეკემბერში ბიატლონისტთა მსოფლიო თასია, იანვარში კი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები გაიმართება სპორტის ზამთრის სახეობებში.

ბლედისთვის, რომელიც საოცრად გვაგონებს ასე მონატრებულ რიწას, ჭადრაკი ნამდვილად არ არის უცხო ხილი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან აქ რეგულარულად იმართება ტურნირები ვარსკვლავთა მონაწილეობით. ბლედში სხვადასხვა დროს უთამაშიათ ალიოხინსა და ნიმცოვიჩს, ტარტაკოვერსა და ბოგოლიუბოვს, უფრო მოგვიანებით ფიშერს, ტალს, პეტროსიანს... სხვათა შორის, აქვე ახლოს, დობრნაში, 1985 წელს 20 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქეთევან არახამიამ.

ორი კვირის მანძილზე ბლედის სპორტის სასახლე, რომლის ძირითადი პროფილი სპორტის ზამთრის სახეობებია, მოჭადრაკეთა ხელშია. დღის ორ საათზე, ტურის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, დარბაზი სრულ მზადყოფნაშია. მსაჯები, მომსახურე პერსონალი და გამაღიზიანებლად მრავალრიცხოვანი „სეკიურითი" ელიან ხუთივე კონტინენტის ასორმოცდაათამდე ქვეყნის რვაასზე მეტ მოჭადრაკეს, მათ კაპიტნებს, სხვადასხვა რანგის მოხელეებს. სამის ნახევარზე სპორტულ არენაზე ნემსიც კი არ ჩავარდება.

თავად სპორტის სასახლე სულ ათას მაყურებელზეა გათვლილი. ჭადრაკის ტრფიალნი ბლედში საკმაოდ არიან, შესვლაც თავისუფალია, მაგრამ პარტიებისთვის უშუალოდ თვალის დევნება პრაქტიკულად გამორიცხულია. დარბაზში ექვს სადემონსტრაციო დაფაზე მხოლოდ 24 პარტიის ჩვენება შეიძლება, საჭადრაკო ბატალიები კი ერთდროულად ოთხას დაფაზე მიმდინარეობს! ქართველი მოჭადრაკე ქალების პარტიებს, როგორც წესი, ყოველთვის აჩვენებენ.

თავად მოჭადრაკეებს, მათ მწვრთნელებს, ფედერაციათა ხელმძღვანელებს, უმეტეს ჟურნალისტს მიაჩნიათ, რომ უკანასკნელ ოლიმპიადათა შორის ბლედში სათამაშო პირობები ერთ-ერთი საუკეთესოა. „ულამაზესი ქალაქი, შესანიშნავი კლიმატი და ამინდი, კარგი სასტუმროები და ნორმალური კვება, დასვენებისა და სეირნობის შესანიშნავი პირობები მართლაც რომ კარგი თამაშისთვის განგაწყობს" — ჩვენი გუნდის წევრების კოლექტიურ აზრს გამოხატავს ნანა იოსელიანი.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი 14 უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი

# 15 ტური

# ბათუმმა რვათვიანი შოგა



გოჩა გუჯაბიძემ (მარჯვნივ) და მერანელებმა საკუთარი კარი სამჯერ ვერ დაიცვეს

ბათუმი. 6 ნოემბერი. 15 საათი. დინამო. 400 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 3:1 მერანი

1:0, 2:0 მოდებაძე (4, 76), 3:0 ქაცარავა (86), 3:1 გუჯაბიძე (90+)

ბათუმი: ი. ბალაძე, მინდაძე (მახარაძე 77), არჩვაძე, კობიძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, ტულუში, ქაცარავა (ნემსაძე 87), ბეჟანიძე (თურმანიძე 66), გ. მოდებაძე, დარჩიძე
სათადარიგონი: ტოგონიძე, კუნჭულია, სურმანიძე, ცინარიძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

მერანი: გ. გაბელია, ბლუაშვილი, გუჯაბიძე, ქინქლაძე, მაზანიშვილი (ბაჯელიძე 51), გ. მ. რევაზიშვილი (თუთარაშვილი 24), დევიძე, მესხი, კოშკაძე, ი. მერგელია, ფირცხალაიშვილი (გ. ნოზაძე 72)
სათადარიგონი: გიორგობიანი, ბარათია, გრიგოლიშვილი, ქადაგიძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: არჩვაძე (56)

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიანი

ჯარიმა: 19-19, კუთხური: 3-8, კარისკენ დარტყმა: 8-2; კარში დარტყმა 4-1; თამაშგარე 1-2

**იუზა კაპიტაძე ბათუმიდან**

**17 მარტს**, მე-13 ეროვნულის პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურში „ბათუმმა" შინ გაჭირვებით „გორდას" მოუგო და მას აქეთ ზღვისპირელებს საკუთარ მოედანზე ზედიზედ 12 მატჩში არ უხეირიათ. „სარეკორდო" სერია ასლან ბალაძის გუნდმა გუშინ დაასრულა. ბათუმელებმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხეს, მიმდინარე გათამაშებაში პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვეს.

სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაშვებულ „ბათუმს" სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა. საქმე ის არის, რომ რამდენიმე დღეა გუნდს ნანატრი სპონსორები გამოუჩნდნენ და ამათ წინაშე თავის შერცხვენა ბალაძეს და კომპანიას ნამდვილად არ არგებდა. ჰოდა, მოხდა ის, რასაც აგერ უკვე რვა თვეა, ელოდნენ ბათუმელთა ქომაგნი. ზღვისპირელებმა მოინდომეს და მოიგეს, თანაც გუშინ იღბალიც მათ მხარეს იყო.

მეტოქეებს ძირითადი მეკარეები აკლდათ. „მერანის" გოლკიპერი ნაჭყეპია დისკვალიფიცირებული იყო, ბათუმელი ტოგონიძე კი, მართალია, სათადარიგოებში ირიცხებოდა, მაგრამ გუნდს რომ დასჭირვებოდა, ალბათ, ვერ შეეშველებოდა, ნიკა ქუთაისში „ტორპედოსთან" შეხვედრაში დაშავდა, თეძო იტკინა და წელიც აწუხებდა. მოხდა ისე, რომ მწვრთნელებს ვაჟიშვილები ედგათ კარში და თუ გიორგი გაბელიას დიდი ჯაფა ადგა, ირაკლი ბალაძე, ფაქტობრივად, თამაშში არ ჩართულა.

მასპინძლებს დებიუტში გაუღიმა ბედმა, მათ პირველსავე შეტევაში დალაშქრეს ავჭალელთა კარი. ხუჯაძემ საკუთარი ნახევრიდან წინ გაგზავნა ბურთი. სტუმართა მცველები პოზიციურად შეცდნენ და ბურთი მოდებაძეს ჩაუვარდა, რომელმაც 25 მეტრი ირბინა და საჯარიმოში შეღწევისთანავე ძლიერად და ზუსტად დაარტყა. სწრაფმა გოლმა ბათუმელები კიდევ უფრო გაამხნევა და თამაში მათი უპირატესობით გაგრძელდა. პირველ ტაიმში გაბელიას ერთხელაც შეექმნა საფრთხე, დარჩიძის ფლანგური გარღვევის შემდეგ ტულუში აგვირგვინებდა იერიშს, ოღონდ მის მიერ საჯარიმოს გარედან ძლიერად გასროლილი მეკარემ „ცხრიანიდან" გამოაძრო. სტუმრებმა შესვენებამდე ოდენ იმით დაგვამახსოვრეს თავი, რომ წუთნახევარში ოთხჯერ მოაწოდეს კუთხური.

„მერანი" შესვენების შემდეგ ათამაშდა. ავჭალელებმა გასათანაბრებლად გაიწიეს, მაგრამ მასპინძელთა დაცვა უშეცდომოდ მოქმედებდა და მეტოქეს გატანის შანსი არც მისცემია. ბათუმელთა კონტრშეტევები გაცილებით სახიფათო იყო. მეორე გოლი „მერანმა" იმავე მოდებაძისგან მიიღო, რომელმაც არჩვაძის საჯარიმოდან ჩაწოდებულზე მეკარეს დაასწრო და თავურით გაგზავნა ბურთი კარში. აქედან ათ წუთში მასპინძლებმა მესამედაც იხეირეს. შეცვლაზე შესულმა მახარაძემ იყოჩაღა, იგი ბოლომდე ებრძოლა ბაჯელიძეს, ბურთიც აართვა და კარის გასწვრივ გაჭრა, უმეთვალყურეოდ დარჩენილ ქაცარავას გატანა არ გასჭირვებია. „ბათუმი" დიდი ანგარიშით გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ წამატებულ დროში თუთარაშვილისა და ორი მცველის დუელში არბიტრმა წესის დარღვევა დააფიქსირა. გუჯაბიძემ უნაკლოდ შეასრულა თერთმეტმეტრიანი, რის შემდეგ თამაში არც განახლებულა.

***ოთარ გაბელია, „მერანის" მწვრთნელი:*** „გვშიოდა თუ გვწყუროდა, ასე სუსტად ჯერ არ გვითამაშია. პირობებზე წუწუნს აღარ დავიწყებ, ჩვენ გაჭირვებაზე ისედაც მოგეხსენებათ. ისე, მსაჯმა მაინც ჩაგვწიხლა, 0:1-ზე ფირცხალაიშვილის წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა, ბოლოს არარსებული 11-მეტრიანი გვიბოძა, ვის რაში სჭირდებოდა".

***ასლან ბალაძე, „ბათუმის" მწვრთნელი:*** „გუნდში მდგომარეობა საპირისპიროდ შეიცვალა, უპატრონოდ არ დაგვტოვეს, ღვთისნიერმა ხალხმა დახმარება აღვითქვა, ახლა ჯერი ჩვენზეა. საერთო მონდომებით, სწორი მიდგომით სატურნირო მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ. „მერანი" არ არის ცუდი გუნდი, კარგი მწვრთნელი ჰყავს, მაგრამ, დაინახავდით, ჩვენ უკეთესად გავისარჯეთ".

გორი. 6 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური. 1 100 (ტევადობა 6 230)

## დილა 1:3 ტორპედო

0:1 ჩომახიძე (16), 0:2 დიდავა (43), 1:2 ძოძუაშვილი (70), 1:3 იონანიძე (82)

დილა: ი. ილურიძე, გ. ჩიქვაია (ხომხიშვილი 77), რ. სამხარაძე (რაზმაძე 67), გ. ზ. რევაზიშვილი (ბ. ჩიქვაია 83), დადიანიძე, ფეხუაშვილი, სულთანიშვილი, ხორგუაშვილი, ჯობაძე, ლ. გორიაშვილი, ძოძუაშვილი
სათადარიგონი: მაისურაძე, ლომიძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

ტორპედო: სტურუა, ლ. ქილაძე, ხვადაგიანი, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, კვიტერაძე, დიდავა (ქელიშვილი 89), ტერეშჩენკო (კამუნზარიაშვილი 75), ჩომახიძე (ახალკაცი 53), ასათიანი, იონანიძე
სათადარიგონი: ქანტურია, გ. მეგრელიძე, ზ. ქუთათელაძე, მაზმიშვილი
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

გაფრთხილება: ფეხუაშვილი (17), ილურიძე (20), რევაზიშვილი (80)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქილაძე

ჯარიმა: 17-19; კუთხური: 1-5; კარისკენ დარტყმა: 2-7; კარში დარტყმა: 6-7; თამაშგარე: 1-9

# ნუ მოუმრავლებით უფროსკლასელებს

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**„დილას"** ქომაგს გორში წაქცეული „ტორპედოც" ახსოვს, მაგრამ შიდა ქართლელები ახლა იმ დროს შენატრიან. თაობათა ცვლის პროცესი ძალიან გაჭიანურდა გორში, მართალია, კლუბში ბევრი რამ სასიკეთოდ იცვლება, მაგრამ ჩემპიონის დასამარცხებლად სტაბილური პირობები და ბაზის მშენებლობა ჯერაც არასაკმარისია.

გუშინ „ცენტრალურზე" „ტორპედომ" ვერ ითამაშა ჩემპიონურად, თუმც განსხვავება კლასში აშკარა იყო. რიონისპირელები მასპინძლებს ძირითადად შუა ხაზში მობილური თამაშით და გამოცდილების ხარჯზე ჯაბნიდნენ. „დილას" სტუმართა კართან მიახლოება უჭირდა, ერთი-ორჯერ კი დაურტყეს სტურუას ძლიერად, მაგრამ ქუთაისელთა მეკარე შემტევებს იოლად გაუმკლავდა.

მერე ნელ-ნელა მოედანზე ვითარება დაიძაბა და რამდენიმე მომენტი სადავოც შეიქმნა. ჯერ ფეხუაშვილმა შეუტია სტუმრებს, ქუთაისელთა საჯარიმოში შეღწეულმა ბურთს ჭვინტიც ამოჰკრა, მაგრამ, სტურუას გასაკვირად, ბურთი მცველს მკერდზე მოხვდა და მიმართულება შეცვლილი კარში წავიდა. სტურუამ რეაგირება მაინც მოასწრო და ნახტომში ბურთი კუთხურზეც მოიგერია. გორელები კი იჩემებდნენ, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთაო, თუმც სერგო კვარაცხელიამ და მამუკა ურუშაძემ სხვაგვარად განსაჯეს.

მეორედ აყალმაყალი სტუმართა გატანილ გოლს მოჰყვა. მასპინძელთა კუთხურს რიონისპირელთათვის სახიფათო არაფერი მოჰყოლია. სტუმართა დაცვამ ბურთი იოლად მოიგერია და კონტრშეტევაც წამოიწყო. გორელებმა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნა მოიწადინეს, ამიტომაც შესცქეროდნენ თანამსაჯ მამუკა ელიკაშვილს, ამ დროს კი ჩომახიძე „დილას" კარისკენ ბურთიანად მიჰქროდა. ხატულამ წინ გამოსულ ილურიძეს ბურთი თავზე გადაუგდო და კარშიც მშვიდად შეაგორა.

გორელები ელიკაშვილს შემოეხვივნენ, კვარაცხელიასაც ეკამათნენ, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ და თამაში ცენტრიდან განაახლეს.

იმ სადავო ეპიზოდის განხილვისას ჩვენ ესღა შეგვიძლია ვთქვათ — ჩომახიძე თამაშგარე მდგომარეობაში არ ყოფილა, გოჩაშვილი აშკარად ჩამორჩა მოედნის ცენტრისკენ აწეულ თანაგუნდელებს, თუმც სანამ ქუთაისელი ბურთისკენ დაიძვრებოდა, მანამ პასიურ თამაშგარეზე ლაპარაკი შეიძლება. ტორპედოელთა კაპიტანი დიდავა მცველზე წინ წაწეული ჩანდა, მაგრამ ბურთისკენ არ წასულა.

გოლის შემდეგ დროშის ყველა აღმართვაზე ჯოჯოხეთს უწყობდნენ ელიკაშვილს „დილას" ქომაგები. მის ყველა გადაწყვეტილებას საეჭვოდ მიიჩნევდნენ, თუმცა თანამსაჯი ულტვინველად გამოიყურებოდა.

ტაიმის ბოლოს გივი დიდავამ ოცდახუთიოდე მეტრიდან ძლიერად ამოჰკრა ბურთს და დაძაბული ვითარებაც საბოლოოდ განიმუხტა „ცენტრალურზე". ილურიძემ რეაგირება დააგვიანა, უხერხულადაც გადახტა და თავისიანებს კიდევ ერთხელ დააწყებინა ცენტრიდან თამაში.

მეორე ტაიმში „ტორპედო" სიტუაციას აკონტროლებდა. მასპინძლებმა ორჯერ კი გაიწიეს სტუმართა კარისკენ, მაგრამ საგოლედ ვერცერთხელ. თითქოს მატჩიც მშვიდად უნდა დასრულებულიყო, „დილა" თამაშის გამწვავებელი არ ჩანდა. ჰოდა, რიონისპირელებმა თავი რომ დაიმშვიდეს, გოლიც მაშინ მიიღეს. წინა ტურში რუსთავში თავგამოჩენილმა ჯობაძემ გუშინაც მოიქნია თავისი მარჯვენა. დარტყმულიც უხერხული და ზუსტი გამოუვიდა. მართალია, სტურუა მარცხენა დაბალ კუთხეში წასულ ბურთს შესწვდა, მაგრამ პირდაპირ კარის წინ მდგომი ძოძუაშვილისკენ მოიგერია. მერაბმაც ზუსტად დაამატა და გორელებსაც თამაშის შემობრუნების იმედი გაუჩნდათ.

მატჩის დასრულებამდე საკმარისი დრო რჩებოდა „დილაც" შტურმისთვის გაემზადა, თუმც სტუმართა მაღალმა კლასმაც აქ იჩინა თავი. იონანიძემ ფეხუაშვილს შეცდომა არ აპატია, ბურთი აართვა, ილურიძესთან პირისპირ გავიდა და აუღელვებლად, ზუსტად დაარტყა. მასპინძლები უიმედოდ შეჰყურებდნენ კარისკენ მგორავ ბურთს.

ნამატჩევს რიონისპირელებმა „დინამოს" დამარცხების ამბავიც შეიტყვეს და ერთიორად გახარებულები გაემგზავრნენ შინისკენ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ახლა იწყებაო.





ზურაბ იონანიძემ გორში ერთი გოლი მიითვალა და ბომბარდირებში კვლავ პირველია

# სწავლა მასწავლებელთა
## კარნევალიმ შუშაკს წაგება გააცნო



ბევრს კი ეცადა, მაგრამ რატი ალექსიძეს ლაშა ნოზაძე მაინც გაექცა

კობა ინასარიძე

**ხორვატი** ივო შუშაკის თბილისში ჩამოსვლის მეცხრე თვეს „დინამო" ჩემპიონატში შინაურ სარბიელზე პირველად დამარცხდა. შუშაკს და მის გუნდს იტალიელმა კარნევალიმ და „ვიტ ჯორჯიამ" მოუგო, დიდი ბრძოლისა და თავდადების შედეგად, დამსახურებულად.

„ვიტ ჯორჯიას" დღესდღეობით აქვს საიმისო პოტენციალი, რომ „დინამოს" ეფექტური სვლა შეაჩეროს" — ამბობდა მატჩამდე სტუმართა მწვრთნელი და თავის ბიჭებისა ეიმედებოდა, გაუმართლეს კიდეც.

„ვიტ ჯორჯიასთვის" სწრაფი თავდამსხმელის, გიორგი ადამიას დისკვალიფიკაცია, ერთი შეხედვით, დიდი დანაკლისი უნდა ყოფილიყო. „დინამოსთან" ხომ სწრაფი თავდამსხმელით თამაში ნებისმიერი გუნდისთვის მისწრებაა და არც ვეტერინარები არიან ისე განებივრებულნი, ადამიას სისწრაფე და მოქნილობა არად ულირდეთ. თუმც ისიც ვთქვათ, რომ ისეთი თამაში გამოდგა, ყოველ შემთხვევაში, გატანილ გოლამდე, ადამიას ყოფნა სტუმართათვის სანატრელი ნამდვილი არ იქნებოდა.

კარნევალიმ ამჯერად ერთი გამოკვეთილი ფორვარდი იკმარა — მელქაძე, რომელსაც ყოფაანი და, პირობითად რომ ვთქვათ, ადამიას შემცვლელი ქოქიაშვილი ოდნავ სიღრმიდან ეხმარებოდნენ. გუშინ არ უთამაშია არც დავით დილმელაშვილს, სტუმართა სტაბილურ საყრდენ ნახევარმცველს. მის ადგილას მწვრთნელმა მარჯვენა ჰავბეკი ლაშა ნოზაძე გაამწესა. ფლანგი კი გოჩაშვილს ჩააბარა. ნოზაძეს კარნევალიმ საპირისპირო ფლანგიდან დოლიძე შეუწყვილა, გამოთავისუფლებულ სივრცეს კი გველესიანი ავსებდა. მოედნის შუაში ფეხბურთელთა კონცენტრაციით იტალიელმა მწვრთნელმა ხორვატის კონტრნაბიჯი გადადგა და მისმა გუნდმაც მცირე, მაგრამ როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, გადამწყვეტი უპირატესობა სწორედ შუაში მოიპოვა. დინამოელი ჰავბეკები კი ისე ჩანდა, თითქოს გადაღლილები იყვნენ, ცოტა ინერტულებიც და მეტოქის აგრესიას ვერ პასუხობდნენ, ვეტერინართა მარწუხებისგან თავის დაღწევა უჭირდათ. „დინამოს" თითქმის ყველა შეტევა, რაც ზემოთქმული მიზეზის გამო უმეტესწილად მოედნის საკუთარი ნახევრიდან საჯარიმოსკენ გაკეთებული გრძელი პასებით იწყებოდა, მეტოქისაზე ნაკლებეფექტური იყო. მომენტიო, რომ ვთქვათ და აღსანიშნად ღირდეს, ასეთი სტუმართა კართან არც შესვენებამდე, არც შემდეგ არ შექმნილა.

დავეთანხმოთ მასპინძელთა მწვრთნელს, რომელმაც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, „დინამოში" დღეს ლიდერი არ იყო, ისეთი ფეხბურთელი, რომელიც თამაშს საკუთარ თავზე აიღებდა და გუნდს მეტოქის კარისკენ გაუძღვებოდაო. გუშინ არც ბურდული, არც აშჩაბაძე შუშაკმა ორივე შუაში რომ ათამაშა, გუნდის ლიდერებს არ ჰგავდნენ. თავდასხმაც არ იყო ისეთი აქტიური, როგორსაც ბოლო ხანს „დინამოსგან" ნაჩვევნი ვართ. მასპინძელთა დაცვის ხაზი შედარებით უკეთ მოქმედებდა, მაგრამ გაშვებული გოლის შემდეგ, 70-ე წუთიდან ისიც აირია და სტუმრებს უფრო გაბედულად რომ შეეტიათ, ანგარიში, ალბათ, მეტიც იქნებოდა.

მეორე ტაიმის საწყისი 5-10 წუთი „ვიტ ჯორჯიამ" პირველზე თამამად დაიწყო. ვეტერინარებს აქცენტი მარცხენა ფლანგისკენ ჰქონდათ, იქით, სადაც კარლოსი თამაშობდა და შეტევაში ჩართული უკან ჩასვლას ხშირად აგვიანებდა. სტუმრებმა ერთი-ორჯერ მეტად მწვავედ სწორედ მარცხნიდან რომ განავითარეს თავდასხმა და ბრაზილიელი მცველი ჩამორჩა, შუშაკმაც არ დააყოვნა, თანაც კარლოსს ფეხი ეტკინა და მის ნაცვლად კანდელაკს უხმო. პასიური ფორვარდი ბობოხიძე კი ალექსიძით შეცვალა. ამ ცვლილებებს მოედანზეც მოჰყვა გადაადგილება. ბურდულმა ცენტრში კანდელაკს დაუთმო ადგილი, თავად კი კარლოსის ფლანგზე გადაინაცვლა და გუნდურ თამაშსაც ჩამოშორდა, რითაც „დინამოს" შეტევას ეფექტი კიდევ უფრო მოაკლდა. კანდელაკმა შუაში ბურდულის მაგივრობა ვერ გასწია, აშჩაბაძეს კი ლადოს ჩამოშორებით მარჯვენა ხელი წაერთვა და ცოტა ხანში, ზედიზედ ორი უზუსტობის შემდეგ, შეცვლილთ გვერდით მიუჯდა. თუმც იქამდე „ვიტ ჯორჯიას" გოლი უკვე გატანილი ჰქონდა: ქოქიაშვილმა, კბილებით რომ იბრძოლა, აშჩაბაძეს პარტნიორებთან ერთად ჯერ ერთხელ დაატოვებინა ბურთი, მერე ვარდნაში დაასწრო და მელქაძეც იქვე გაჩნდა. მატჩში უდავოდ საუკეთესო სტუმართა ფორვარდმა ბურთი მიიღო და ისევ მარცხენა ფლანგზე გაქანდა. დინამოელები მის შეჩერებას პოზიციურად ცდილობდნენ, თუმც ვერ მოახერხეს, მელქაძისკენ კანდელაკი გაქანდა, ლევანმა ფეხი შეაყოვნა, მცველი მოძრაობაზე აიყოლა და კოორდინაცია რომ დააკარგვინა, ბურთიანად მოკურცხლა, საჯარიმოში შეჭრილმა კი კარის შორეულ ძელისკენ გაქანებული უყურადღებოდ მიტოვებული ნოზაძე შენიშნა და ბურთი თავზე დაასვაა. სტუმარმა ბურთს თავი ღონივრად მოუქნია, მეკარემ დარტყმული თითქოს უკუაგდო, მაგრამ გუნდის გადარჩენა მაინც ვერ მოახერხა. გვარამაძეს კაცი ვერ გაამტყუნებს — ორი მეტრიდან თავური აუღებელია — დაუწერელი კანონია. ეს იყო და შუშაკმა აშჩაბაძეც შეცვალა, ალექსიძესა და დარასელიას მესამე თავდამსხმელი, მიქაძე შეემატა. „დინამომ" გაშმაგებით შეუტია, კარნევალიმ კი ინწკირველით დაცვა გააძლიერა და მატჩიც საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა.

**ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:**

— ძალიან გახარებული ვარ, სასიამოვნოდ დამუხტული. „დინამო" რომ ძლიერი გუნდია, ეს ყველამ კარგად იცის, ჩვენ კი დღევანდელი თამაშით მეტოქეს თავის სიძლიერე არ გამოვაყენებინეთ. რა თქმა უნდა, „დინამოსთან" ფრეც დამაკმაყოფილებდა, მაგრამ მოგებამ უზომოდ გამახარა. წლეულს „ვიტ ჯორჯიას" მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. მოვლენებს რეალურად ვუყურებ და რაც შეგვიძლია, იმას ვამბობ. ჩემპიონობაზე პრეტენზია არ გვაქვს, ეს „დინამოსა" და „ტორპედოს" დავაში გაირკვევა. ისე, თუ ჩემპიონობას მოვარხერხებთ, გუნდის მადლობელი ვიქნები.

**ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:**

— ვულოცავ „ვიტ ჯორჯიას" დამსახურებულ გამარჯვებას. ეს ერთი შეცდომის მატჩი იყო, რაც, სამწუხაროდ, ჩვენ დავუშვით. „დინამოს" სუსტი თამაში უპირველესად მეტოქის დამსახურებაა. ყველა სერიას აქვს ბოლო. ჭკვიანი კაცი სწორედ შეცდომაზე სწავლობს. ჩვენც გავაანალიზებთ ამ მატჩს და შესაბამის დასკვნებს გამოვიტანთ. ძალიან მსურს, ეს შეხვედრა იყოს პირველი და ბოლო, რომელიც სუსტად ვითამაშეთ და წავაგეთ. ჩემპიონატის მომავალ მატჩებისას ეს მარცხი „დინამოზე" არ იმოქმედებს.

თბილისი. 6 ნოემბერი. 15 საათი. ორი 6 1 000 (ტევადობა 70 900)

### დინამო 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 ნოზაძე (70)

**დინამო:** გვარამაძე, ჯაშაკიძე, შაშიაშვილი, აშისულაშვილი, ა. სახვაძე, კარლოსი (კანდელაკი 55), გოგობერიშვილი, აშჩაბაძე (გ. ვ. მიქაძე 72), ბურდული, დარასელია, მ. ბობოხიძე (ალექსიძე 55)
სათადარიგონი: ზოიძე, კვირკველია, მაზიაშვილი, ი. სამხარაძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

**ვიტ ჯორჯია:** მურლანი, კობიაშვილი, ლ. მურებაშვილი, მუჯირი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი (დეიქრიშვილი 86), დ. დოლიძე, გველესიანი, ყოფაანი (თედორაძე 90), ქოქიაშვილი (ინწკირველი 73), მელქაძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი, დ. ბოლქვაძე, ბერელიძე, ე. მურებაშვილი
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

გაფრთხილება: აშისულაშვილი (35), ლ. მურებაშვილი (38), დარასელია (81)

მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგაძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 4-23; კუთხური: 5-3; კარისკენ დარტყმა: 3-5; კარში დარტყმა: 4-4; თამაშგარე: 3-3



ჯანი კარნევალი



ივო შუშაკი

# საქმეში ზვიადის შეკვდავმგა და ჯაბას ხელი ურევია

თერჯოლა. 6 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური. 100 მაყურებელი

### მეტალურგი 3:1 გორდა

1:0 ენდელაძე (13პ), 2:0 ფოფხაძე (34), 2:1 გოცირიძე (60), 3:1 ენდელაძე (72პ)

**მეტალურგი:** ა. ლაბაძე, მეზარნიშვილი, მ. ლონლაძე, გაბრიჭიძე, მილლაკელიძე, ჩიჩუა, ბურჯანიძე, ფოფხაძე (ი. ხაჭაპურიძე 77), სულაკაძე, სუხიაშვილი (კობაიძე 81), ენდელაძე (ორმოცაძე 87)
სათადარიგონი: მურკვილიშვილი, ნიშნიანიძე, ჯაჩაპურიძე, კ. თავბერიძე
მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

**გორდა:** ჩლაიძე, არსოშვილი, ა. ბურნაძე, ბერიძე (შიოშვილი 76), ზ. ლაბაძე, ზაზაშვილი, პაპაშვილი (ჯ. თავბერიძე 46), კ. ალადაშვილი, ჩოხელი (ჯელაძე 46), გოცირიძე, ლ. ალადაშვილი
სათადარიგონი: ბეჟაშვილი, მიქავა, სოხაძე
მწვრთნელი: გია გეგეჭკორი

გაფრთხილება: ზ. ლაბაძე (14), გაბრიჭიძე (56), ჯელაძე (75), ა. ლაბაძე (84)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგაძე

ჯარიმა: 12-17; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 4-3; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 2-4

დავით თავართქილაძე თერჯოლიდან

**თანაბარი** თამაში იყო და მის შემხედვარე კაცს არ ჩაეძინებოდა — გუნდებმა ხალისიანად იბრძოლეს.

მოიგო იმან, ვისაც უფრო გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს. ზვიად ენდელაძე კარგა ხანია, რაც სპორტულ პიკს ქვემოდან შესცქერის, მაგრამ გუშინ პირველ რიგში სწორედ გამოცდილების ხარჯზე შეეწია „მეტალურგს".

ავთანდილ ფოფხაძეც უნდა გამოვარჩიოთ — ამ ფეხმალმა ფორვარდმა არ მოასვენა „გორდას" დაცვა, გოლიც შეაგდო და 11-მეტრიანიც მოინადირა.

პირველი გოლისას რუსთაველთა დაცვის ხაზი ბრინჯივით დაიბნა — ბერაძემ უკან დააბრუნა ბურთი, რომლისკენ მცველთაგან არავინ გაემართა, სირბილში კი გიორგი სუხიაშვილმა დაჯაბნა თემურ ჩლაიძე და რუსთაველთა მეკარის ფეხსაც წამოედო — ენდელაძის პენალტზე გოლკიპერმა კუთხე ვერ გამოიცნო.

ამის მერე ერთხელაც მოუწია ჩლაიძეს დასწრებაზე თამაშმა, მაგრამ კვლავ ხელი მოაცარა — მალხაზ ლონლაძის ჩინებულ გადაცემას პირველი ფოფხაძე შესწვდა და უკანმოტოვებული ჩლაიძის შემდეგ წინ ცარიელი კარი დახვდა — 2:0.

შემდეგ სულაკაძე შეატოვეს ჩლაიძეს მახვილი კუთხიდან, მაგრამ ამჯერად გოლკიპერმა ივარგა, თუმც ენდელაძეს დამატებაზე უნდა გაეტანა მიზანი კარგად რომ გაესწორებინა.

„გორდა" კი მთელი პირველი ტაიმი მონდომებულად, უთავბოლოდ და უნაყოფოდ უტევდა.

შესვენების შემდეგ რუსთაველებმა მყისვე ორი გააზრებული კომბინაცია გაითამაშეს, რაც პირველ რიგში შეცვლაზე შესული მარჯვენაფლანგელის, ჯაბა თავბერიძის დამსახურება გახლდათ.

თავბერიძემ ჯერ დაახლოებით 20 მეტრიდან დააჭუხა და ავთანდილ ლაბაძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

შემდეგ ჯაბამ არმაზ ჯელაძეს უპასა კარგად, მაგრამ შესვლაზე შესულ ფორვარდს მიზანმა უმტყუნა.

მალე შედარებით მობილურად ათამაშებულ „გორდას" იერიშებს გოლიც მოჰყვა — ჯელაძის გამჭოლი გადაცემით თავბერიძე კარგ პოზიციაზე გაიჭრა და რევაზ გოცირიძესაც, ფაქტობრივად, ცარიელ კარში გაატანინა.

თითქოსდა თამაშის შემობრუნებას წინ არაფერი ედგა, მაგრამ ყველაფერი საეჭვო 11-მეტრიანმა გადაწყვიტა — ენდელაძემ 20-მეტრიანი სოლო რეიდი იკისრა, მარჯვენა მახვილი კუთხიდან სუხიაშვილი ჩლაიძეს შეატოვა, ზესტაფონელმა შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, ფოფხაძემ თავური დაჰკრა და ბურთი თავბერიძეს მოხვდა — მატჩის არბიტრმა ავთანდილ შალამბერიძემ მიიჩნია, რომ კარისკენ მიმავალ ბურთს რუსთაველის ხელი გადაეღობა.

ენდელაძემ კი მეორე ჯერზეც ბადეში აფართხალებული ბურთის საპირისპირო მხარეს გადაახტუნა ჩლაიძე.

პენალტს რუსთაველთა აღშფოთება მოჰყვა, მაგრამ მსაჯებისთვის ხელი არავის დაურტყამს, ყველაფერი მშვიდობიანად ჩამთავრდა.

შეხვედრის მიწურულს „გორდამ" შტურმისმაგვარი მოუწყო მეტოქეს, ერთი-ორი ხიფათიც შექმნა, მაგრამ ამაოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაფაელმა რკინიგზა მოხიბლა

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. 6 ნოემბერი. 15 საათი. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ. 1 000 (ტევადობა 3 000)

## მილანი 0:2 ლოკომოტივი

0:1 კაიდარაშვილი (33), 0:2 სირაძე (40)

ᲛᲘᲚᲐᲜᲘ: ახლანაძე, ტარუღაშვილი, ჯაბუა, აკობია, მ. სამხარაძე, მეტონიძე, ვართაგავა (ეკალეურიშვილი 76), ქალიაშვილი, ქარჩავა, შელეგია (ეგაძე 54), ყარამაშვილი (ლულუნძე 31)
სათადარიგონი: მამალაძე, დანელია, ლამბაშიძე, დაუთაშვილი
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ალექსანდრე არევაძე

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი, მ. ბურნაძე (ტოქვეიშვილი 77), სირაძე, რუსია (სოსელია 45), გალიარდო, კაიდარაშვილი (კობახიძე 85), ზ. ლაცაბიძე
სათადარიგონი: იუარდავა, გილაური, რ. ონიანი
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ლუის ცაკარიასი

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ეგაძე (56), ლაცაბიძე (70)

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: გ. ბარქაია

ჯარიმა: 13-21; კუთხური: 2-1; კარისკენ დარტყმა: 5-6; კარში დარტყმა: 2-6; თამაშგარე: 1-1

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ გურჯაანიდან**

**ᲥᲐᲠᲗᲣᲚ** სარბიელს პერუელის ნატერფალიც დაეტყო — გურჯაანში გალოკომოტივებული რაფაელ გალიარდოს დებიუტი შედგა.

არ შეირცხვინა უცხოტომელმა თავი, კოჭებში დაიტყო, რა ფეხბურთელიცაა. ძმაბიჭივით ესმოდა პერუელს ახალი თანაგუნდელების. ცაკარიასის მიერ მოედნის ცენტრჩაბარებულმა ხუთიანზე გასწია გამთამაშებლის ჭაპანი. გალიარდოს მოკლე, ჩახვეულმა, ეფექტურმა პასებმა მასპინძელთა ქომაგსაც დააკვრევინა ტაში. უცხოტომელის გუშინდელი თითოეული მოძრაობა მართლაც დახვეწილი, გემოვნებიანი და საქმიანი იყო. გონიერი, ტექნიკური, ნასწავლი ფეხბურთელის შთაბეჭდილება დატოვა პერუელმა, თუმცა სამართლიანობისთვის ისიც უნდა ვთქვათ, რომ სისწრაფე აკლია ცაკარიასის ფავორიტს, მიუხედავად ამისა, უეჭველია, მისი სახით „ლოკომოტივმა“ საჭირო ფეხბურთელი შეიძინა.

გალიარდოს ორჯერ ჰქონდა გუშინ გასატანი, ორივე შემთხვევაში ეფექტური „კედელი“ გაითამაშა თანაგუნდელებთან და ორჯერვე სისწრაფემ უმტყუნა ასლანაძესთან ბრძოლაში.

ცაკარიასმა გუშინაც ტრიბუნაზე დასვა დისციპლინასთან მწყრალად მყოფი ზაზა ჯანაშია, თუმც ამით სულაც არ უზარალია. „ლოკომოტივმა“ ყველა კომპონენტში დაჩაგრა მეტოქე და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. კახელებმა ჩვეულებისამებრ ჟინით და თავდადებით იბრძოლეს, მაგრამ უფრო მაღალი კლასის მეტოქესთან ვერაფერს გახდნენ.

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებისა იყო — ტექნიკური ქარჩავას ჯარიმიდან დახვეულს მირზა სამხარაძე დაუხვდა, თუმც ათიოდე მეტრიდან ამის გასროლილს ლომაია გადაეფარა. პირველ ტაიმში „მილანს“ მეტი შანსი არც ჰქონია, რკინიგზელებმა კი გეგმაზომიერად აკეთეს საქმე. სირაძე მარცხენა ფლანგზე გაბატონდა, ცენტრიდან გალიარდომ აჭრა მასპინძლები, მცველებს დიდი თავსატეხი გაუჩინეს სწრაფმა რუსიამ და გამოცოცხლებულმა კაიდარაშვილმა და 33-ე წუთზე სტუმრებმა ანგარიში გახსნეს — ლამაზი კომბინაცია გამოუვიდათ ცაკარიასის ბიჭებს. ხუთმა ფეხბურთელმა თითო შეხებით კაიდარაშვილამდე მიიტანა ბურთი და მანაც ისეთი აბრაგანი ამოჰკრა, ასლანაძეც დააბნია. „ლოკომოტივმა“ მალე მეორეც გაიტანა. „მეორე სართულის მეფე“ სირაძე ჯორდანივით აუხტა ბალაშვილის ჯარიმიდან ჩაკიდულ ბურთს და თავით შანსი არ დაუტოვა მეკარეს.

ტაიმის ბოლოს სტუმრებს რუსია გაუხდათ შესაცვლელი — სწრაფი რკინიგზელი საზარდულმა შეაწუხა, მის ნაცვლად მოედანზე შესული სოსელია მეორე ტაიმში სწრაფად მოერგო „ლოკომოტივის“ სათამაშო სქემას. რკინიგზელებს რამდენჯერმე მართებდათ გატანა, „მილანს“ კი ერთადერთი შანსი ფანიაშვილმა წაართვა — ჭალიაშვილის კუთხურისას საჯარიმოში გიორგი ონიანმა ითამაშა ხელით, თუმც მსაჯმა პენალტის დანიშვნას გულშემატკივართა „ტკბილსიტყვაობის“ მოსმენა არჩია.

# დამაკმაყოფილებელი

ᲤᲝᲗᲘ. 6 ნოემბერი. 15 საათი. ᲤᲐᲖᲘᲡᲘ. 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 3:2 სიონი

0:1 გოდერძიშვილი (43), 1:1 გონჩაროვი (34), 2:1 გაგუა (40), 2:2 შავგულიძე (45), 3:2 გონჩაროვი (69)

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ: ჩემია, ფანჩულიძე, ნარსია, მ. ქობულაძე, გოროზია (ხარიშია 89), სვანაძე, ქუტიძე, გაბიდაური, ე. გვასალია, გაგუა (მაჩილავა 70), გონჩაროვი (ხურცილავა 85)
სათადარიგონი: სანიკიძე, გურგენაძე, მ. ფილია
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: სოსო ფილია

ᲡᲘᲝᲜᲘ: ბათიაშვილი, ირემაშვილი, სიდამონიძე, ზ. ცქიფურიშვილი, გ. ჩხაიძე (გოგიტიძე 46), კვეკვესკირი, ბაქრაძე, ოსიანი, დოუშვილი, შავგულიძე (კრავეიშვილი 55), დ. გოდერძიშვილი
სათადარიგონი: ფოლკოვი, გაბისკირია
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: თემურ მახარაძე

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: კრავეიშვილი (88)

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: რ. ჩილაჩავა

ჯარიმა: 8-18; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 3-1; კარში დარტყმა: 9-5; თამაშგარე: 15-7

**ᲒᲝᲩᲐ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ ფოთიდან**

**ᲗᲣ ᲐᲠ** ჩავთვლით ჩემპიონატის ცხრილში წინ გაჭრილ ოთხეულს, გუშინ „ფაზისზე“ ზეექსვეულზე მოფიქრალი კიდევ ორი გუნდი შეეჭიდა ერთმანეთს. ერთი თვე და ამდენივე დღეა, „კოლხეთს“ მოგება არ ღირსებია და ექვსი ქულით წინ გაჭრილ „სიონთან“ დასაახლოვებლად სამი ქულის ტკბილი გემო ზედ გამოჭრილი იყო მისთვის.

საბოლოოდ ასეც მოხდა, მაგრამ მატჩის დასაწყისი ფოთელებს კარგს არაფერს უქადდა. ბოლნისელებმა პირველივე იერიშში პენალტი მოინადირეს. ისიანმა ჩინებული პასით ორ მცველს შუა გაუჭრა ბურთი გოდერძიშვილს და მეკარეს პირისპირ შეატოვა. დათომ ბათიაშვილი მოატყუა, მაგრამ წამოწეულმა გოროზიამ მოიერიშეს დარტყმის საშუალება არ მისცა. სამაგიეროდ, დაზარალებულის დარტყმული პენალტი უნაკლო გამოდგა.

გოლის მერე „სიონი“ მოეშვა და მთელი პირველი ტაიმი მხოლოდ ერთი გუნდი — „კოლხეთი“ თამაშობდა.

სტუმართა დაწოკება მე-15 წუთიდან დაიწყო, ქობულაძემ შორეული პასით „სიონის“ მთელი უკანა ხაზი „მოტეხა“ და გვასალია ბათიაშვილთან შესახვედრად მარტო დაიძრა. თითქოს გოლის გატანას წინ არაფერი ედგა, მაგრამ ელდარი ბოლო მომენტში შეცდა, კარში დარტყმას პასი არჩია და გონჩაროვმაც თამაშგარედან მოახერხა გატანა. ცირდავა არც დაფიქრებულა უყოყმანოდ ასწია ალამი.

ორიოდ წუთში არანაკლები შანსი მიეცა გაგუას, თუმც მისი დარტყმული მეტად უხეირო გამოდგა.

თურმე ჯერ სად ხართ. ორ წუთში გაგუამ ისეთი მომენტი ვერ გამოიყენა, მეტი რომ არ იქნება. გონჩაროვმა თანაგუნდელს ლამის დაულეჭა ბურთი, მაგრამ ვალერიმ სამიოდ მეტრიდან მაინცდამაინც ხარიხას დაუმიზნა.

სამი წუთი არ გასულიყო, „სიონს“ მშველელად ძელიც მოევლინა. ფანჩულიძემ 22 მეტრიდან მძლავრად დააქუხა, ზემოთაც ვთქვით, ბურთი ძელმა აისხლიტა.

34-ე წუთზე გასატანი მაინც გავიდა. გაგუამ გონჩაროვს პასი არ დაამადლა და „სიონის“ კარის ბადეც როგორც იქნა შეირხა. მალე ამ დუეტმა კიდევ ერთი გოლი გაჩარხა, ოღონდ ამჯერზე ასისტენტობა გონჩაროვმა იკისრა, მეგოლეობა კი — გაგუამ.

ტაიმის დასრულებას ბევრი არაფერი უკლდა და „კოლხეთიც“ ოდნავ მოეშვა. ბოლნისელებს თავი დიდად არ გამოუდვიათ, მაგრამ გათანაბრება მაინც მოახერხეს. კოლხთა საჯარიმოს მარჯვენა კიდესთან ჯარიმა დაინიშნა. იქედან გატანა ძნელი ჩანდა, თუმც შავგულიძემ ცაციათი გასროლილი ბურთი კარის მარცხენა დაბალ კუთხეში ჩასვა.

თამაშის განახლებისთანავე „კოლხეთმა“ ყველაფერი თავიდან დაიწყო და პირველ ხუთ წუთში ორი უალრესად მწვავე მომენტიც შექმნა. ორჯერვე იმარჯვა ბათიაშვილმა, ფეხით მოიგერია ჯერ გონჩაროვის, ხოლო შემდეგ გვასალიას ახლოდან დარტყმული ბურთები.

ამასობაში შავგულიძის ნაცვლად თემურ მახარაძემ კრავეიშვილს უხმო. ისიც მონდომებით ჩაება თამაშში და ბურთთან პირველივე შეხება კინაღამ საგოლე პასით აღნიშნა. საკმაოდ სწრაფი კონტრიერიში კრავეიშვილის ფლანგური გარღვევით და დაუშვილის ეფექტური დარტყმით დასრულდა, თუმც დარტყმულს ოდნავ დააკლდა სიზუსტე.

ეს იყო და ეს, „სიონს“ მეტოქის კარისაკენ აღარც გაუხედავს. კოლხებმა კი გააგრძელეს იერიში და მალე მესამე გოლიც გაიტანეს, რომელშიც ლომის წილი სტუმართა მცველმა დაიდო. ცქიფურიშვილმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და საკუთარ მეკარეს ბურთი უხეიროდ გაუგორა. კარზე დაგეშილ გონჩაროვს მეტი რა უნდოდა, ბურთი მოიხელთა, ბათიაშვილიც მოატყუა და მშვიდად შეაგორა ცარიელ კარში.

მატჩის დასრულებას 20 წუთი კი უკლდა, მაგრამ თამაში ამ გოლმა მოკლა და დარჩენილ დროში არც სტუმრებს მოუკლავთ თავი ანგარიშის გასათანაბრებლად და არც მასპინძლებს უცდიათ კიდევ ერთი გოლის გატანა.

სალოცარი იყო, მაგრამ ორივე გუნდი ამ შედეგით კმაყოფილი ჩანდა. ნამატჩევს „სიონის“ თავკაცმა აღიარა, ჩვენი უმთავრესი მიზანი ამ ეტაპზე ზეექსეული არისო და ამით ახსნა შეგირდების უგერგილო გარჯა. სოსო ფილიამ კი ფსიქოლოგიურად უმნიშვნელოვანესი უწოდა ამ მოგებას და ისიც დასძინა, მთავარი ამ მატჩში გამარჯვება იყო და როგორი თამაშით მივაღწევდით ამას, მნიშვნელობა არ ჰქონდაო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 12 | 1 | 1 | 37:4 | 37 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 32:11 | 35 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 11 | 1 | 3 | 24:9 | 34 |
| ლოკომოტივი | 14 | 10 | 1 | 3 | 26:7 | 31 |
| სიონი | 15 | 7 | 2 | 6 | 21:20 | 23 |
| კოლხეთი | 15 | 6 | 2 | 7 | 16:23 | 20 |
| მეტალურგი | 15 | 5 | 1 | 9 | 10:29 | 16 |
| დილა | 15 | 3 | 3 | 9 | 9:22 | 12 |
| მერანი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:30 | 12 |
| მილანი | 15 | 3 | 3 | 9 | 8:25 | 12 |
| ბათუმი | 15 | 2 | 5 | 8 | 11:19 | 11 |
| გორდა | 15 | 3 | 0 | 12 | 10:27 | 9 |

***პირველ ტურში „მერანს“, „მეტალურგს“, „გორდას“ და „მილანს“ ჩაეთვალათ 0:3 წაგება მეცხრე ტურში „მეტალურგს“ „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3 მეთორმეტე ტურში „მერანს“ „გორდასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3***

**ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ**

| | |
|---|---|
| 10 - ᲘᲝᲜᲐᲜᲘᲫᲔ | ტორპედო |
| 9 - ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ | დინამო |
| 7 - ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ | სიონი |
| ᲨᲐᲕᲒᲣᲚᲘᲫᲔ | სიონი |
| 6 - ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ | ვიტ ჯორჯია |
| 5 - ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ | მერანი |
| ᲙᲝᲨᲙᲐᲫᲔ | მერანი |
| ᲠᲣᲡᲘᲐ | ლოკომოტივი |



ანდრი პოროშინი (№15) და რევაზ ნაჭყებია ამ გაწევ-გამოწევისთვის 100-100 ლარით და ორი მატჩის გამოტოვებით დასაჯეს

# ლოკომოტივის 5:0 გადარჩა

## ზარანდიამ ზუგდიდი არ დათმო

**ᲒᲣᲨᲘᲜ** სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის მორიგ სხდომაზე დისციპლინარებმა ყველა საკითხი განიხილეს და დამნაშავეებიც დასაჯეს. მივყვეთ თანმიმდევრობით:

28 ოქტომბერს უმაღლესი ლიგის მეცამეტე ტურში „მეტალურგი“ — „ლოკომოტივის“ მატჩში სტუმრებმა 5:0 გაიმარჯვეს, თუმც მატჩამდე ტექნიკური შეცდომა მოუვიდათ და განაცხადში 6 ისეთი ფეხბურთელი შეიყვანეს, რომლებიც სარეზერვო გუნდის წევრები არიან. არადა, დებულებით რკინიგზელებს მხოლოდ ხუთი ფარმკლუბელის დამატება შეუძლიათ ყოველ თამაშზე. იმ ექვსეულიდან „მეტალურგთან“ ოთხმა ითამაშა.

დისციპლინარები სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის წარმომადგენელ ნოდარ კაკულიას და „ლოკომოტივის“ მენეჯერ ლევან ყიფიანის წერილებსაც გაეცნენ. რკინიგზელებს თითიც დაუქნიეს, კიდევ კარგი, ოთხზე მეტი არ ათამაშეთ, თორემ უეჭველად 0:3 წაგებას ჩაგითვლიდითო.

ლევან ყიფიანმაც აღიარა, გუნდში ახალი მისული ვარ, სიტუაციას ჯერაც არ გავცნობივარ, თუმც შეცდომასაც ვხვდებიო. ზესტაფონის „მეტალურგის“ წარმომადგენელმაც ხელები გაშალა, არაფერს ვითხოვთ, საჩივარი არ შემოგვიტანიაო.

გასარკვევიც რაღა იყო. „ლოკომოტივი“ მკაცრად გააფრთხილეს და 200 ლარით დააჯარიმეს. სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტს კი უფრო მეტი ყურადღება დაევალა. ასევე გააფრთხილეს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტიც.

27 ოქტომბერს „მერანი“ — „ტორპედოს“ მატჩში სტუმარ-მასპინძელი პოროშინი და ნაჭყებია აუხირდნენ ერთმანეთს და მსაჯმაც ორივე გააძევა. ისინი ორ-ორი თამაშით დასაჯეს და 100-100 ლარითაც დააჯარიმეს.

უარესი ამბავი მოხდა ბათუმში 24 ოქტომბერს. ბათუმელი რომანაძე და რუსთაველი ზურაბ ლაბაძე სულაც ხელიხელ შეიბნენ და მსაჯმა მათაც წითელი აუფრიალა. რომანაძე და ლაბაძე 4-4 მატჩით არიან დისკვალიფიცირებულნი, თან 200-200 ლარსაც გადაიხდიან.

უმაღლესი ლიგის ამბებიც ამით ამოიწურა. პირველ ლიგაში ზედიზედ ორ ინციდენტში ამხილეს „სამტრედია“. 28 ოქტომბერს „სამტრედია“ — „გურიას“ მატჩის შემდეგ მსაჯთა ოთახში მასპინძელი კლუბის ვიცე-პრეზიდენტი პაატა გიგინეიშვილი შეიჭრა და მთავარ მსაჯ ზურაბ ანიაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მსაჯის პატაკის თანახმად, გიგინეიშვილი თურმე პენალტის დანიშვნას (!) ითხოვდა. ცხადია, მატჩის შემდეგ ანიაშვილმა მომხვდურს ასეთი სურვილი ვერ შეუსრულა...

2 ნოემბერს კი უკვე „სამტრედია“ — „სამგურალის“ მატჩი დამთავრდა „ხმაურით“. 85-ე წუთზე მასპინძელმა მამუკა მესიაჩენკომ წიხლი ჩაარტყა წყალტუბოელ ლევან კოპალიანს, რომელმაც უმალ გადაუხადა სამაგიერო. არბიტრმა ორივეს წითელი აუფრიალა. ნამატჩევს კი მსაჯები ქვებისა და ფურთხის თანხლებით შეცვივდნენ სამსაჯო ოთახში. პოლიციელთა სიყოჩაღეზე განგებ არ ვამახვილებთ ყურადღებას, ისინი თურმე მზესუმზირის კვნეტით იქცევდნენ თავს.

დისციპლინარებმა პაატა გიგინეიშვილი მკაცრად გააფრთხილეს და 100 ლარით დააჯარიმეს. სტადიონს კი პოლიციელთა უმოქმედობის გამო ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

რეგიონულ ლიგაში, „სოხუმი“ — „დილა 2“-ის მატჩში, რომელიც სოხუმელებმა 2:1 მოიგეს, სტუმართა მწვრთნელი შეცდა — დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ათამაშა. გორელებს 0:3 წაგება ჩაეთვალათ და 100 ლარითაც შეითხელებენ ჯიბეს.

„მცხეთა 2“ — „ვაკე 91“-ის მატჩში ჩადენილი დანაშაულისთვის სამი ფეხბურთელი დაისაჯა. მასპინძელი ბესიკ ნოზაძე (4 თამაში, 200 ლარი) და სტუმრები — ლევან გუნია (3 თამაში, 150 ლარი) და ირაკლი კობიაშვილი (2 თამაში, 100 ლარი).

ბოლოს კი სოფელ რუხში მომხდარ უმსგავსობაზეც ვთქვათ. 30 ოქტომბერს „ოდიში 2002“ — „კოლხეთი 2-ის“ მატჩის შემდეგ გულშემატკივრებმა მთავარი მსაჯი გია კიკაჩეიშვილი სცემეს. იგივეს უპირებდნენ გვერდით მსაჯ ნუგზარ რუსიშვილს, ოღონდ ის სამიზნეში ფეხბურთელებმა ირაკლი ჭურღულიამ, გიორგი ჭურღულიამ და დავით ჯანაშიამ ამოიღეს. რუსიშვილმა გაქცევა მოახერხა და თავი სტუმართა ავტობუსს შეაფარა. გალახული კიკაჩეიშვილი კი „ოდიში 2002“-ის მწვრთნელ გია ჯურხაძისა და ერთ-ერთი პოლიციელის დახმარებით გაიყვანეს ქალაქიდან.

„ოდიში 2002“-ის პრეზიდენტმა ბადრი ზარანდიამ ეს არ იკმარა და გუშინ კიკაჩეიშვილს ბრალი დასდო: „მან იგივე გაგვიკეთა ვანში. იქ 3:2 ვიგებდით და ამ დროს კიკაჩეიშვილი შუა თამაშიდან მასპინძელი გუნდის წარმომადგენლმა გაიყვანა. მატჩიც დროებით შეწყდა. საბოლოოდ ვანელებმა გათანაბრება შეძლეს და თამაში 3:3 დამთავრდა“.

ამაზე გია კიკაჩეიშვილმა უპასუხა: „მსგავსი არაფერი მომხდარა. ასეთი რამ წარმოუდგენელია, შუა თამაშიდან არავის გავუყვანივარ. როგორც ჩანს, ცრუ ინფორმაცია მოგაწოდეს. საერთოდაც, იმ მატჩის მერე ზუგდიდელებმა მადლობა გადამიხადეს კარგი მსაჯობისთვის“.

მერე სიტყვა დისციპლინარებმა ითხოვეს. მათი აზრიც მალე ორად გაიყო. ერთი რამ ცხადი იყო — სტადიონისთვის დისკვალიფიკაცია უნდა მიეცათ. თუმც რომელი სტადიონისთვის? ამაზე დისციპლინარები კარგა ხანს კამათობდნენ. ზოგი „ოდიში 2002“-ს ზუგდიდში თამაშის ნებას აძლევდა და მხოლოდ რუხის სტადიონს აჯარიმებდა, ზოგიც ზუგდიდში თამაშს გამორიცხავდა. საბოლოოდ კენჭისყრით მეორე აზრმა გაიმარჯვა, თუმც ორიოდ წუთში შეიცვალა და მხოლოდ სოფელ რუხის სტადიონი დაისაჯა ორი თამაშით. ისე, საინტერესოა, დღემდე დასჯილი ზესტაფონის „მეტალურგი“ რატომ დადის სამტრედიაში თუ თერჯოლაში? ან გორის „დილამ“ რატომ „მოიხადა“ დისკვალიფიკაცია მცხეთაში?

ირაკლი ჭურღულია, გიორგი ჭურღულია და დავით ჯანაშია ორ-ორი თამაშით და 100-100 ლარით დაჯარიმდნენ, აქაოდა, მსაჯი არ გაულახავთ, მხოლოდ მცდელობა იყოო.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საიმონმა წყვეტა შეწყვიტა



ფრაიბურგი — დორტმუნდი. სუმაილა კულიბალიმ მარსიო ამოროზო (მარჯვნივ) დაჩაგრა

## გერმანია

### თასის 1/16 ფინალი

**ფრაიბურგი 3:0 დორტმუნდი**

1:0 კულიბალი (8), 2:0 მენერი (41), 3:0 ცაიერი (54)
ფრაიბურგი: გოლცი, ბერნერი, მიულერი, კონდე, რიტერი, ვილი (მერმელი 69), ა. ცაიერი, კულიბალი (ცხიტიშვილი 89), კობიაშვილი, რამდანე, მენერი (ბრუნსი 81)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მაინრიხი, ვორნსი, მადუნი, დედე, როიტერი, რიკენი, კელი (ფრინგსი 69), ამოროზო, ეველინი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილებები: კობიაშვილი, მიულერი, რიტერი, ამოროზო, დედე, მადუნი
მსაჯი: ვაგნერი
24 000 მაყურებელი

**ჰოფენჰაიმი 1:5 კიოლნი**
**უნტერჰახინგი 1:0 უნიონი**
**ოსნაბრიუკი 1:0 არმინია**
**მიუნხენი 2:2 დ.დ. (პენ. 8:7) ვოლფსბურგი**
**ჰამბურგი 2:0 დუისბურგი**
**ჰანზა 1:0 აინტრახტი**

**თასის** გათამაშების მეთექვსმეტედფინალიდან „ფრაიბურგმა" დორტმუნდის „ბორუსია" დაიფრინა. ჩემპიონს ამ სეზონში ბუნდესლიგაში თამაში არ წაუგია და პირველი მარცხი თასზე, ქართველური გუნდისგან იგემა.

ჩვენებურთა „ფრაიბურგმა" მერვე წუთზევე გახსნა ანგარიში სუმაილა კულიბალის გოლით. მართალია, დედემ მალევე გაათანაბრა, მაგრამ მსაჯმა საეჭვო თამაშგარე აღნიშნა და არ ჩათვალა. ამით გალაღებულმა მასპინძლებმა უფრო გემრიელად შეუტიეს. იან მენერმა პირველი ტაიმის მიწურულს, ხოლო ანდრეას ცაიერმა მეორის დასაწყისში სამამდე გაზარდეს სხვაობა და მერვედფინალში რიხით გავიდნენ. ქართველთაგან სრულად მხოლოდ ლევან კობიაშვილმა ითამაშა და ყვითელ ბარათს გამორჩა, ლევან ცქიტიშვილი კი შეცვლაზე შევიდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მათიას ზამერმა სასტარტო შემადგენლობაში ტომაშ როსიცკი არ ათამაშა — დასვენება სჭირდებაო.

ნამატჩევს „დორტმუნდის" თავკაცმა ბრძანა: „ძალიან პასიურად ვითამაშეთ. გუნდს მონდომება აკლდა. ეს ალბათ მატჩისთვის ცუდად მომზადების ბრალი იყო."

ფოლკერ ფინკემ კი აღნიშნა, ჩემთვის ეს გამარჯვება მოულოდნელი სულაც არ ყოფილაო.

ბუნდესლიგელი ბელეფილდის „არმინია" ქვედალიგელმა „ობერპაუზენმა" კინკილა გოლით, მაგრამ გზიდან ჩამოიცილა.

„ჰამბურგმა" პირველ ტაიმში ვერაფერი დააკლო „დუისბურგს" და მხოლოდ მეორეში, ოცწუთიან მონაკვეთში შეძლო მეტოქის გატეხვა მარსელ მალტრიციისა და კიმ კრისტენსენის ზუსტი დარტყმების წყალობით.

„ჰანზას" გვარიანად გაუძალიანდა „აინტრახტი". როსტოკელმა თომას მეგლემ შეხვედრის ბოლო წუთზე გადაწყვიტა მერვედფინალისტის ბედი.

თვალსასეირო გამოდგა „მიუნხენ 1860"-ისა და „ვოლფსბურგის" მატჩი. მასპინძელთაგან მარტინ მაქსის გატანილს წუთშივე როდრიგო კოსტამ მეორე მიუმატა. „ლომებმა" საქმე მოგვარებულად ჩათვალეს, თუმცა დორინელ მუნტეანუმ ჯერ ერთი გაქვითა, მერე კი დიეგო კლიმოვიჩმა ანგარიში გაათანაბრა.

პენალტების სერია კარგა ხანს გაგრძელდა, რაკილა მეტოქეებს ხან ზედიზედ გაჰქონდათ გოლები, ხან ზედიზედ აცუდებდნენ. ყველაფერი „ჰამბურგის" მეკარის საიმონ იენჩის მიერ მოგერიებულმა დაასრულა და ნერვთაწყვეტაც შეწყვიტა.

**ვაჟა ხუციშვილი**


სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
ყიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში ნამყვანი მწარმოებლებისაგან.
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია
ტიტანი
მასტერი
Zeus
ზევსი
Billjardai
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2


## ინგლისი

### ლიგის თასი. 1/16 ფინალი

**ბირმინგემი 0:2 პრესტონი**
**უიგანი 1:0 მანჩესტერ სიტი**
**უიმბლდონი 1:3 როტერჰემი**
**მანჩესტერ იუნ. 2:0 ლესტერი**

**ლიგის თასის** მესამე წრეს ორი პრემიერლიგელი შეეწირა. მეორე დივიზიონის „უიგან ატლეტიკმა" კევინ კოგანის „მანჩესტერ სიტი" იმსხვერპლა ნილ რობერტსის გოლით, პირველდივიზიონელმა „პრესტონმა" კი სულაც ბირმინგემში, იქაურ „სენტ ენდრიუზე" იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ „ბირმინგემი" 28-ე წუთიდან 10 კაცით თამაშობდა, თავდამსხმელი ჰორსფილდი სავსებით სამართლიანად გააძევეს.

მასპინძელთა კარში გოლები მეორე ტაიმში გავიდა. ორივე გოლი ოკეანისგაღმელებმა შეაგდეს — 54 წუთზე იამაიკის ნაკრების წევრმა რიკარდო ფულიემ გაიტანა ამერიკელი ედი ლუისის დახმარებით, საფინალო სასტვენამდე ათიოდე წუთით ადრე კი თავად აშშ-ის ნაკრების წევრმა ლუისმა დაუსვა მატჩს წერტილი.

ალექს ფერგიუსონმა „ოლდ ტრეფორდზე" პირველდივიზიონელ „ლესტერთან" მატჩში პრემიერლიგის გასულ ტურში „საუთჰემპტონის" დამარცხებელი შემადგენლობიდან 7 ფეხბურთელი ათამაშა. მიუხედავად ამისა, „მანჩესტერს" მაინც გაუჭირდა, „ოლდ ტრეფორდის" ტრიბუნები გოლს მე-80 წუთამდე ელოდნენ, სანამ ოლე გუნარ სოლსკიარის მოცელვისთვის დანიშნული პენალტი დევიდ ბექჰემმა გაიტანა. ამ გოლს, ბოლო წუთზე, შეცვლაზე შესულმა რიჩარდსონმა თავისიც დაუმატა და ფერგიუსონის გუნდმა 2:0 მოიგო.



მანჩესტერი — ლესტერი. ფრენკ სინკლერმა ოლე გუნარ სოლსკიაერი საპენალტედ წააქცია

პირველდივიზიონელების, „როტერჰემისა" და „უიმბლდონის" სათასო ჯახში სტუმარმა „როტერჰემმა" მოიგო. აღსანიშნავი კი ის არის, რომ „სელჰერსტ პარკზე" ამ მატჩს სულ რაღაც 664 ფანი უყურებდა.

**სერგი ძორიძე**

## ესპანეთი

### თასის 1/16 ფინალი

**ნოველდა 0:3 ტერასა**
**ერკულესი 0:0 (პენ. 3:4) მალიორკა**
**ფეროლი 3:4 დეპორტივო**

**სამეფო თასის** მეორე ეტაპზე ლამის ერთი სენსაცია გამოცხვა. პრიმერადივიზიონელმა „მალიორკამ", უმაღლესლიგელებთან ზედიზედ ხუთი მატჩი რომ მოიგო, მესამედივიზიონელ „ერკულესთან" ვერაფერი გახერხა და 120-წუთიანი უგოლო მატჩის შემდეგ პენალტებით 4:3 ძლივს მოიგო.

გავარდა პირველ ეტაპზე „ბარსელონას" გამაწვარებელი „ნოველდა". მესამედივიზიონელები საკუთარ მოედანზე ერთი დივიზიონით ზემოთ მობინადრე „ტერასას" ემსხვერპლნენ.

ყველაზე დაძაბული მატჩი კი ფეროლში გაიმართა, სადაც ადგილობრივ „რასინგს" ჩემპიონთა ლიგის ბინადარი „დეპორტივო" ესტუმრა.

„სუპერდეპორი" დიეგო ტრისტანის ძალისხმევით უკვე მე-20 წუთისთვის იგებდა, თუმც ფეროლელმა ანხელ მელარმა ორი გოლი შეაგდო და მეორე ტაიმის მე-10 წუთიდან საქმე ოფლის საღვრელად გაუხადა.

პრიმერადივიზიონის ერთ-ერთმა ფავორიტმა იძალა და იმავე ტრისტანის გოლით ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ მასპინძლებს ფრანგი მცველი რომენ სამბიერი გაუძევეს და თითქოს „დეპორს" მეორედივიზიონელთა გადარჩენა აღარ უნდა გასჭირვებოდა. მით უფრო, რომ მალევე როი მაკაის პასით ალბერტო ლუკემ თავისიანები დააწინაურა, მაგრამ „ფეროლი" არ დანებდა და პრიმერადივიზიონელებიც ბოლო წუთამდე აწრიალა.

მატჩის დასასრულამდე 8 წუთით ადრე „ფეროლის" იაპონელმა ლეგიონერმა სოტარო იასუნაგამ გაათანაბრა და ყველაფერი თავიდან დაიწყო. საბოლოოდ „დეპორტივო" ისევ ლუკემ გადაარჩინა. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე გატანილმა მისმა გოლმა მცირე გალისიურ დერბიში (ფეროლიც გალისიაშია) „დეპორტივოს" მოაგებინა.

**სერგი ძორიძე**

# რა ხელფასი მოგინდათო!

**ევროპის** დიდმა გუნდებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, ფეხბურთში არანორმალურად გაზრდილ ხელფასებს რაიმე მოუხერხონ. ერთი სიტყვით, ეგრეთ წოდებულმა G 14-მა ხელფასების კონტროლის კონცეფცია შეიმუშავა, რომლის ძირითადი აზრი ის გახლავთ, რომ სახელფასო ფონდი კლუბის ბიუჯეტის 70 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს. სავარაუდოდ, ეს კონცეფცია 2005-06 წლების სეზონიდან ამოქმედდება.

G 14-ის ვიცე-პრეზიდენტი, „მანჩესტერ იუნაიტედის" შეფი პიტერ კინიონი:

„ჩვენ ფეხბურთში გარკვეული გავლენის მქონე კლუბთა გაერთიანებას წარმოვადგენთ და გვსურს, თავს რაიმე მოვუხერხოთ, რათა ინდუსტრია წამგებიანი არ გაგვიხდეს."

შეკრება სამ საათს გაგრძელდა და იმით დასრულდა, რომ ბობოლათა გადაწყვეტილებით, ზემოხსენებული კონცეფცია უნდა შეეხოს ყველა იმ კლუბს, რომელთა სახელფასო ფონდი 30 მილიონ ევროს აჭარბებს.

„ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანთაგანია, ფეხბურთელთა ხელფასები მათი თამაშის ადეკვატური გახდეს. ხელფასი შედეგის მიხედვით უნდა იზრდებოდეს. ჩვენთან, ბრიტანეთში, ხშირია შემთხვევა, როდესაც გუნდი ლიგიდან ვარდება, მაგრამ ჯამაგირებს ვერ ამცირებს და იძულებულია ფული სხვა ხერხებით იშოვოს" — განმარტა კინიონმა.



პიტერ კინიონისთვის დევიდ ბექჰემთან გაფორმებული კონტრაქტი მრავალმილიონიანი ხარჯიცაა

და მაინც, 70 პროცენტი, ვთქვათ, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ვევა თანხაა, რადგან ამ კლუბის შემთხვევაში ლაპარაკია 228,3 მილიონი დოლარის 70 პროცენტზე

G 14-ის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი (მადრიდის „რეალი"):

„ამ კონცეფციას აზრი აქვს როგორც დიდი, ასევე პატარა კლუბისთვის. ბოლოს და ბოლოს, ზიდანსა და რონალდოს ყოველ წელიწადს ვერავინ იყიდის, ეს რეალობაა. ერთი სიტყვით, რაც აქ მოვილაპარაკეთ, ჯენტლმენური გარიგება გახლავთ."

**ბაჩუნა ძიძია**


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი
## V ტურის გადადებული მატჩი

## სპარტაკი 0:2 ბაზელი

მოსკოვი. „დინამო". 3 500 მაყურებელი.მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

0:1 როსი (17), 0:2 ხიმენესი (89)

ლევიცკი, კოვტუნი, კებე (მიტრესკი 78), მოიზესი, აბრამიძე, ხლესტოვი, კალინიჩენკო (ტორბინსკი 71), ბეზროდნი (კუდრიაშოვი 46), პავლენკო, ბესჩასტნიხი, დანიშევსკი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

ცუბერბიულერი, ჰაასი, მ. იაკინი, ცვისიგი, დურუზი, კანტალუპი, ესპოზიტო (ატუბა 15), ჰ. იაკინი, ერგიჩი, როსი (ხიმენესი 68), ტუმი
მწვრთნელი: კრისტიან გროსი

ჯარიმა: 15-24; კუთხური: 5-0; კარისკენ დარტყმა: 9-1; კარში დარტყმა: 3-5; თამაშგარე: 4-11

# დათვი რუსი კი არა, გროსი ყოფილა
## გაჭირვებული სპარტაკი მსაჯს ებღაუჭებოდა

**მოსკოვის** „სპარტაკი" ძალიან ახლოსაა ამაზრზენ რეკორდთან — 6 მატჩიდან 6 წაგებასთან. ჩემპიონთა ლიგაში მსგავსი რამ აქამდე ორჯერ მომხდარა. 1997-98 წლების სეზონში „კოშიცემ", ხოლო შარშანდელ ლიგაში „ფენერბაჰჩემ" შეძლეს პირველი ჯგუფური ეტაპის უქულოდ დასრულება. თუმცა მაშინ „კოშიცემ" ორი, „ფენერბაჰჩემ" კი სამი გოლის გატანა მაინც მოახერხეს, მოსკოვური გუნდის მონაგარი კი ოდენ კინკილა გოლია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მომდევნო, ბოლო ტურში „სპარტაკი" „ვალენსიას" ესტუმრება, ძნელი დასაჯერებელია, რეკორდი არ გაუმჯობესდეს.

ერთ მიღწევაში კი „სპარტაკს" ალბათ დიდხანს ვერავინ შეეცილება. 2000 წლის 22 ნოემბერს ლონდონის „არსენალთან" გამარჯვების შემდეგ რუსულმა კლუბმა ლიგაში 16-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო 13 მარცხით და სამი ფრით, ასევე ბურთების გადასარევი სხვაობით — 9:40.

გაჭირვებული რუსი მსაჯს ეჭიდებოდაო, ასე იყო მოსკოველების საქმე. რუსებმა გამოჩხრიკეს, რომ შოტლანდიელ არბიტრ სტიუარტ დუგალს, რომელმაც „სპარტაკი" — „ბაზელის" მატჩში უსტვინა, ადრე ორჯერ უმსაჯია მოსკოვში და ორჯერვე მასპინძლებს უმარჯვიათ.

ვერც შოტლანდიელმა უშველა. ეს კი არა, შვეიცარიულ გუნდებს რუსეთიდან სამი ქულა არასოდეს წაეღოთ და ახლა შეძლეს.

მოსკოვურ ყინვაში „დინამოს" სტადიონზე 3500-მდე შებუჟბუჟებული ქომაგი მივიდა, მაგრამ პირველი გაშვებული გოლის შემდეგ 500 კაცამდე დარჩა — ალბათ მხოლოდ ისინი, გარეთ ჩასაყლურწი რომ აღარ ეგულებოდათ.

– „სპარტაკმა" ქინით დაიწყო და ბურთიც ფეხქვეშ მოიგდო. ორჯერ დანიშევსკიმ, მერე კი პავლენკომ გაისროლეს ცუბერბიულერის კარისკენ, მაგრამ უხეიროდ. მერვე წუთზე სტუმართა მეკარე კებეს ჩაწოდებულს ძლივს შესწვდა. მისი ხელიდან ბურთი პავლენკოს მიუგორდა, რომელსაც ცარიელ კარში, თუნდაც ოდნავ მახვილი კუთხიდან, გატანა მართებდა.

„ბაზელი" კონტრშეტევებზე იყო მიმართული, თუმცა დასაწყისში სახეირო ვერაფერი გააკეთა. სამაგიეროდ, პირველივე მწვავე გამოხდომა გოლით დაასრულა. ტუმმა პირით ხაზთან ბოლომდე იბრძოლა, ორი მცველიც გააბითურა და ბურთი კარის წინ ჩანავარდებულ როსის უბოძა. როსიმ „სპარტაკის" ბრაზილიელ მცველ მოიზეს პინეიროს ჩაუქროლა და ლევიცკის გაუტანა. ეს „ბაზელის" ფორვარდის მეოთხე ლიგური გოლი გამოდგა.

რუსები მეტოქეს გასათანაბრებლად ეკვეთნენ. პავლენკომ საჯარიმოს ხაზიდან კარსზემოთ დაჰკრა. კებემ რამდენჯერმე შეაღწია ცუბერბიულერის სამფლობელოში, მაგრამ ხან მცველებს მოართყა ბურთი, ხანაც მეკარეს.


დმიტრი ხლესტოვმა ივან ერგიჩთან ვერაფერი გააწყო

ოლეგ რომანცევმა მეორე ნახევარში შეცვლებს მიმართა, თამაშიც უფრო გაამწვავა, თუმცა ეული ფორვარდით ვერაფერს გახდა. მეტოქის სანახებში გაჭრილი მასპინძლები ხშირად ზურგმოშიშვლებულნი რჩებოდნენ, რისთვისაც მატჩის მიწურულს დაისაჯნენ კიდეც. კრისტიან ხიმენესმა მცველებთან ჭიდილში ბურთი მოარჯულა და კარიდან გამოვარდნილ ლევიცკის თავზე დაუფიქრებლად გადაავლო.

კრისტიან გროსი, „ბაზელის" მწვრთნელი: „ეს გამარჯვება მით უფრო სასიამოვნოა, რომ „ლივერპულთან" გადამწყვეტი მატჩის წინ მოვიპოვეთ. დღეს დათვებივით ძლიერები ვიყავით. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ახლა გაცილებით მეტი შანსი გვაქვს. სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს არ ველოდი, ფრეზეც არ ვიტყოდი უარს. გუნდმა საკუთარი ძალების ირწმუნა, დამსახურებულად გავიმარჯვეთ."

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 14:4 | 13 |
| ბაზელი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:9 | 8 |
| ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | 0 |


მარიო ზაგალომ მსოფლიოს თასების მოხვეჭა სკოლარზე ბევრად ადრე დაიწყო

# ჯერ ბანკეტი, მერე ბანკეტი
## ზაგალომ სკოლარის ზურგი აქცია

**ბრაზილიის** ეროვნულ გუნდს 20 ნოემბერს სამხრეთ კორეასთან სტუმრად ამხანაგური მატჩი ელის, რაზეც უკვე ვწერდით. ისიც მოგახსენეთ, რომ პენტაკამპეონებს კვლავ ერთჯერადი მწვრთნელი დაუნიშნეს. დროებითი თავკაცის როლში ამჯერად ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა სახელი, მარიო ზაგალო იქნება.

საამბატროდ „ბებერმა მგელმა" 19 ლეგიონერი და სამი შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელი მიიწვია. შემადგენლობაში ისეთი მოთამაშეებიც მოხვდნენ, რომლებიც კორეა-იაპონიის მუნდიალზე წასვლის კანდიდატები იყვნენ და ბოლო წუთს მიუხურეს კარი.

გუნდის ერთ-ერთი მთავარშემოქმედი რივალდო ნაკრებს ვერ დაეხმარება. „მას პირადი პრობლემები აქვს, თანაც მუნდიალის შემდეგ რივალდო ძალიან ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას და შორეულმა მოგზაურობამ შეიძლება ხელი შეუშალოს" — განაცხადა ნაკრების მენეჯერმა ამერიკო ფარიამ.

რაც შეეხება ნაკრების მეორე ლიდერს, რონალდოს, მას (როგორც ყოველთვის) მცირე ტრავმა აწუხებს და ზაგალო მოგვიანებით გადაწყვეტს, ათამაშებს თუ არა „კიჭას".

მსოფლიოს ჩემპიონების შემადგენლობაში მიწვეულია მუნდიალების ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო ფეხბურთელი ემერსონი, მან ხომ მუნდიალის დაწყებამდე ორიოდ დღით ადრე ვარჯიშზე კურიოზულ ვითარებაში ხელი მოიტეხა. ასე იყო: სკოლარიმ მისი რატომღაც კარში დაყენება ინება, მან რივალდოს პენალტი მართლაც რომ შესაშურ ნახტომში მოიგერია და მიწაზე დანარცხებისას მარჯვენა ხელის იდაყვი მოიტეხა. ის ნაკრებს დაემშვიდობა, ბრაზილიამ ჩემპიონობა უიმისოდ იზეიმა.

მშობლიურ ნაკრებს დაეხმარებიან „დიდი ფილისგან" უარყოფილი ჟუნინიო პერნამბუკანო, მარსიო ამოროზო და ზე რობერტო.

ზაგალოს თქმით, მატჩამდე და მის შემდეგაც დიდი ბანკეტი გაიმართება, რომლებზეც ფეხბურთელებს მოლხენის უფლებას მისცემს, მაგრამ თავად შეხვედრის დროს მოთამაშეებს ბოლომდე დახარჯვას მოსთხოვს: „მართალია მსოფლიოს ჩემპიონები ვართ, მაგრამ პარაგვაისთან საშინაო მარცხით ტორსიდას ძლიერ ვაწყენინეთ. კორეასთან ფეხბურთელებს მხოლოდ მოსაგებად გავიყვან. მათ ეს უნდა შეძლონ. ისინი ხომ ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები არიან" — თქვა ზაგალომ.

შეგახსენებთ, რომ მარიო ზაგალო 1958 და 1962 წლებში როგორც ფეხბურთელი, ხოლო 1970 წელს როგორც მთავარი მწვრთნელი, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 1998 წელს კი მისი თავკაცობით სამხრეთამერიკელები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები გახდნენ. „ბებერმა მგელმა" მხოლოდ 1974 წლის მუნდიალი „ჩააგდო", მისი გაწვრთნილი ნაკრები მე-4 ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება სათამაშო სქემას, სკოლარის 4-4-2 თავისი საყვარელი 3-5-2-ით შეცვალა.

**ზურაბ რუხაძე[illegible]**

*მეკარეები:* ნელსონ დიდა (მილანი, იტალია);
*მცველები:* ჟულიანო ბელეტი (ვილიარეალი, ესპანეთი), მარკოს კაფუ (რომა, იტალია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ჟუანი, ლუსიო (ორივე ლევერკუზენი, გერმანია), ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი);
*ნახევარმცველები:* კლაუდიო სერჟინიო (მილანი, იტალია), ემერსონ ფერეირა (რომა, იტალია), ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ფლავიო კონსეისაო (ბეტისი, ესპანეთი), ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი), ზე რობერტო (ბაიერნი, გერმანია), დენილსონი (ბეტისი, ესპანეთი);
*თავდამსხმელები:* რონალდო (რეალი, ესპანეთი), რონალდინიო (პსჟ საფრანგეთი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), ფრანცა (ლევერკუზენი, გერმანია), ლუიზაო (ჰერტა, გერმანია)

## არგენტინა

20 ნოემბერს არგენტინის ნაკრები ამხანაგურად ხვდება იაპონიას. მარსელო ბიელსამ იაპონიაში ნასაყვანად ეს ფეხბურთელები შეარჩია:

*მეკარეები:* რობერტო ბონანო (ბარსელონა, ესპანეთი), პაბლო კავალიერო (სელტა, ესპანეთი);
*მცველები:* რობერტო აიალა (ვალენსია, ესპანეთი), მაურისიო პოჩეტინო (პსჟ საფრანგეთი), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია), ფაკუნდო კიროგა (სპორტინგი, პორტუგალია), ხუან პაბლო სორინი (ლაციო, იტალია), ვალტერ სამუელი (რომა, იტალია);
*ნახევარმცველები:* ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია), ლიონელ სკალონი (დეპორტივო, ესპანეთი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ხუან რომან რიკელმე (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (ინტერი, იტალია), სანტიაგო სოლარი (რეალი, ესპანეთი), პაბლო აიმარი, კილი გონსალესი (ორივე ვალენსია, ესპანეთი);
*თავდამსხმელები:* კლაუდიო ლოპესი (ლაციო, იტალია), ერნან კრესპო (ინტერი, იტალია), ხავიერ სავიოლა (ბარსელონა, ესპანეთი), არიელ ორტეგა (ფენერბაჰჩე, თურქეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კინისტები ხარობენ
## მიკ მაკარტიმ გმირობას ორი მატჩით გამოაცილა



18 ივნისს მიკ მაკარტი სამშობლოში გმირად დაბრუნდა, ახლა კი უკანა კარიდან გავიდა

**ექვსნახევარი** წლის თანამშრომლობის შემდეგ ირლანდიის ნაკრები და მიკ მაკარტი გაიყარნენ. ინგლისში დაბადებული ირლანდიელი მწვრთნელი აცხადებს, რომ თანამდებობიდან თავაწეული მიდის, თუმცა უკან მიჰყვება რამდენიმე თვის წინ, კერძოდ კი მსოფლიოს ჩემპიონატამდე დატრიალებული სკანდალური ისტორია — ხომ გახსოვთ, მაკარტიმ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ენის ტლიკინისა და თავნებობისთვის შეკრებიდან არც მეტი, არც ნაკლები, ირლანდიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი, მილიონერი როი კინი დაითხოვა.

შემდეგ, მუნდიალზე, მაკარტიმ თავისი გუნდი ჯგუფური ეტაპიდან მეორე ეტაპზე გაიყვანა, რისთვისაც ქების სიტყვები მოისმინა და... აი, ნოემბრის დასაწყისში ჩემოდნები ჩაალაგა.

მიზეზი: ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში ირლანდიელებმა ორივე შეხვედრა წააგეს, რის გამოც კრიტიკოსებს კინი გაახსენდათ და ყველაფერი ერთად რომ მოკრიბეს, გამოვიდა, რომ მაკარტი გასაშვებია.

მწვრთნელმა... უკაცრავად, ყოფილმა მწვრთნელმა გამოსათხოვარი პრესკონფერენცია მოიწვია:

„გუნდის თამაშზე ზემოქმედება ძალიან კონკრეტულმა ამბებმა დაიწყო, რასაც ველარ მოვითმენდი — განაცხადა მან — ასე რომ, ჩემი წასვლა საქმისთვისაც კარგია და ჩემთვისაც. მე ველაპარაკე რამდენიმე ფეხბურთელს, რომელთაც, ზუსტად ვიცი, ბოლო შეხვედრაში შვეიცარიელებთან წაგება ძალიან განიცადეს. ვიცი, რომ მათ არც გუნდში შექმნილი ატმოსფერო მოსწონდათ."

შემდეგ მაკარტიმ განაგრძო: „თავს ღალატის მსხვერპლად არ ვგრძნობ, წასვლა ჩემი გადაწყვეტილება გახლდათ — სწორი გადაწყვეტილება და ამიტომ, თავი ამაყად მიჭირავს."

წასული სპეციალისტის ნათქვამს თავისი წილი სიტყვები ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ მილო კორკორანმა დაამატა:

„მიკის საქმიანობა ირლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტზე საუკეთესოდ უნდა შევაფასოთ. ნუ დავივიწყებთ, რომ მისი ხელმძღვანელობით ჩვენ რეიტინგში მე-14 ადგილზე ავედით, ხოლო შედეგები, რომელთაც გუნდმა მიაღწია, მის მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს."

სტატისტიკა: მიკ მაკარტის ხელმძღვანელობით ირლანდიის ნაკრებმა მოიგო 29 თამაში და 20 წააგო.

ახლა თუ რაზე სწყდება 43 წლის ირლანდიელს გული: იმაზე, რომ მისი თანამდებობიდან წასვლის მომენტში გუნდი ცხრილში უქულოდაა.

„ერთადერთი გულდასაწყვეტი ეს მაქვს, თორემ მსოფლიოს ჩემპიონატიდან რომ დავბრუნდით, დუბლინის აეროპორტში 100 ათასზე მეტმა ადამიანმა ზეიმი მოგვიწყო. მუნდიალზე საუცხოოდ ვითამაშეთ და არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზეც გავიდოდით. ისე კი, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რომ წავსულიყავი, გმირად დარჩენის თვალსაზრისით, აჯობებდა."

მაკარტის წასვლაზე სალაპარაკოდ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბერტი აჰერნმაც მოიცალა:

„მწყინს მაკარტი რომ მიდის. ის ხომ ასე კარგად მუშაობდა. იმედი მაქვს, უმუშევარი არ დარჩება და ინგლისის პრემიერლიგის რომელიმე გუნდი მიიწვევს."

ხოლო ირლანდიის ნაკრებს დროებით ქვეყნის 21-წლამდელთა გუნდის თავკაცი დონ გივენსი ჩაიბარებს, რომელსაც უახლოესი თამაში საბერძნეთის ნაკრებთან ელის. ეს შეხვედრა ამხანაგურია.

მაგრამ საბოლოოდ ვის დანიშნავენ თანამდებობაზე? ინგლისელი მონიძლავეები ამბობენ, რომ ყველაზე მეტი შანსი „ლივერპულის" ყოფილ თავდამსხმელ ჯონ ოლდრიჯს აქვს, ხოლო ირლანდიელი ბუქმეიკერების აზრით მაკარტის შემცვლელი ნაკრების ყოფილი მცველი ჯო კინეარი იქნება. აქაიქ ახსენებ „რეალში" ნამუშევარი ჯონ ტოშაკის სახელიც, წამოსცდათ დევიდ ოლირიც, თუმცა ის იმწუთას გამოვიდა „სქაი სპორტის" ეთერით და უარი განაცხადა.



„ზღვას გადავცურავ და დუბლინში ისე ჩავალ, ოღონდ კი ირლანდიის ნაკრები ჩამაბარონ — თქვა ოლდრიჯმა — ეს პრესტიჟული თანამდებობაა და მწამს, კანდიდატებიც მრავლად იქნებიან. მე მწვრთნელობა ინგლისურ „ტრანმერ როვერსში" დავიწყე, მაგრამ ოცნება მარად ერთი მქონდა და მაქვს — ერთ მშვენიერ დღეს მინდა ჩემი სამშობლოს ეროვნულ გუნდს ჩავუდგე სათავეში. ფეხბურთელებსაც ჩინებულად ვიცნობ, მაგრამ დავიცადოთ... რაც შეეხება როი კინს, მასთან ჩინებული ურთიერთობა მაქვს და იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია."

დიახ, კინის ქომაგებს მაკარტის წასვლა უხარიათ, რადგან ფიქრობენ, რომ მათი კერპი ნაკრებს დაუბრუნდება. კინის ბიოგრაფმა, იმონ დანფიმ იმავ „სქაის" განუცხადა, რომ როის არასდროს წამოსცდენია, ნაკრებში არ დავბრუნდებიო.

ბოლოს კი მოკლედ გადავხედოთ მიკ მაკარტის „შრომის წიგნაკს":

ის ირლანდიის ნაკრებში თამაშობდა, მწვანე მაისურა 57-ჯერ ჩაიცვა და 1990 წელს, იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდს უკაპიტნა კიდეც. ბურთაობას თავი რომ დაანება, „მილუოლში" მწვრთნელობას დაეწაფა და 1996 წელს ქვეყნის ეროვნული გუნდის სათავეში ჯეკი ჩარლტონი შეცვალა.

მაკარტის ნაკრებს კარგი შედეგი ჰქონდა, თუმც ვერც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა და ვერც ევრო 2000-ზე, თუმცა, ბოლო მუნდიალის შესარჩევში პორტუგალიის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა და ჰოლანდია დატოვა შინ, რის შემდეგაც პლეი ოფში ირანს აჯობა.

მისმა წასვლამ ფეხბურთელებსაც დაწყვიტა გული:

„შოკში ვარ, დღეს ირლანდიური ფეხბურთისთვის შავი დღეა. მიკმა მსოფლიოს თასზეც გვათამაშა და საერთაშორისო პატივიც მოგვაპოვებინა" — თქვა ჯეისონ მაკატირმა.

**ბაჭუნა ძიდია**



როი კინი, შესაძლოა, იდგეს და თბილისში ჩამოვიდეს

# ვისია იტალია? ალ-საად მუამარის ძისა



ალ-საად კადაფი თავდაპირველად „იუვენტუსს" და სუპერთასს გაუშინაურდა

**ევროპულ** ფეხბურთში აღმოსავლური კაპიტალის შეჭრის პროცესი სულ უფრო და უფრო მზარდ ხასიათს იძენს. ამ მხრივ განსაკუთრებით ლიბიელი მილიონერი, ამ აფრიკული ქვეყნის ლიდერის მუამარ კადაფის ვაჟი, ალ-საადი აქტიურობს. მოგეხსენებათ, უმცროსი კადაფი იტალიური „იუვენტუსის" დიდი ქომაგია და ახლახან დირექტორთა საბჭოს წევრადაც აირჩიეს, რაკილა მისმა კომპანია „ლაფიკომ" სოლიდური ინვესტიცია ჩადო ტურინულ კლუბში და მისი აქციათა 7,5 პროცენტსაც დაეუფლა.

უმცროსი კადაფი მარტო ტურინელებთან საქმიან კავშირს არ დასჯერდა და „ლაციოსაც" გადასწვდა. ალ-საადმა, ვინაც იმავდროულად ლიბიის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცია, „ლაციოს" ხელმძღვანელობასთან შეთანხმება დადო, რომელიც რომაელებს წელიწადში 600 ათას დოლარს მოუტანს. სანაცვლოდ „ლაციომ" წელიწადში ერთხელ ამხანაგურად უნდა ითამაშოს ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში. ამ გარიგების არსი ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა ლიბიელ ფეხბურთელებს შესაძლებლობა მიეცემათ, „ლაციოსთან" გააგორონ ბურთი, ხოლო ტრიპოლური გუნდი „ალ-იტიჰადი", რომელშიც ამ შეთანხმების სულისჩამდგმელი კადაფი თამაშობს, წელიწადში 10 დღე ივარჯიშებს „ლაციოს" რომაულ ბაზაზე.

კადაფის განცხადებით, ეს შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებს იმას, რომ იგი „ლაციოს" თანამესაკუთრე გახდა. კონტრაქტი უბრალოდ გარკვეულ ტექნიკურ საკითხებს მოიცავს და მომავალში კომერციულ მნიშვნელობასაც შეიძენსო.

შეგახსენებთ, რომ სწორედ კადაფის მეცადინეობის შედეგია, იტალიის სუპერთასისთვის მატჩი „იუვენტუსსა" და „პარმას" შორის ტრიპოლიში რომ გაიმართა. ისე, ლიბიის სახელმწიფო ოდესღაც იტალიის კოლონია იყო.

**ნინო ძაძამიშვილი**

# ყველა თითი სკოლარისკენ

**პორტუგალიის** ფეხბურთ. ფედერაციის ხელმძღვანელობას თავსატეხი არ ელევა. მოგეხსენებათ, პორტუგალიელები ევრო 2004-ის მასპინძლები არიან, მასპინძლებს კი სტუმართა კარგად დახვედრის გარდა, ჩინებული თამაშიც მოეთხოვებათ. ჰოდა, იქაურებსაც გადაუწყვეტიათ, ეროვნული გუნდის დამრიგებლად უცილობლად უცხოელი სპეციალისტი მოვიწვიოთ, რაკილა კარგად გვაქვს დაცდილიო.

პორტუგალიის ეროვნულმა გუნდმა საუკეთესო შედეგს სწორედ უცხოელი მწვრთნელის, ბრაზილიელი ოტო გლორიას ხელმძღვანელობით მიაღწია 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა ნახევარფინალს უწია და იქ მასპინძელ ინგლისელებთან შერკინებაში დამარცხდა. ალბიონელები კი იმ წელს მსოფლიოს თასის მფლობელები გახდნენ.



ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელ ჟილბერტო მადაილის განცხადებით, ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა სავარაუდოდ ნოემბრის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. ასე რომ, ნაკრების ახლანდელ, დროებით თავკაც აგუსტინო ოლივეირას წყალი აქვს შეყენებული და მუდმივ სამუშაოზე გადაყვანას არ უნდა ელოდოს. იგი 20 ნოემბერს, შოტლანდიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში ბოლოჯერ გაუძღვება მოედანზე ფიგუსა და სხვა რჩეულ პორტუგალიელებს.

ახალი მწვრთნელის დანიშვნის ამბავი რომ განსაკუთრებით ჟურნალისტებს აღუძრავს ხოლმე ცხოველ ინტერესს, კარგად მოგეხსენებათ. ჩვენმა პორტუგალიელმა კოლეგებმა არც ამჯერად დაიზარეს აზრის გამოთქმა და ნაკრების მომავალ დამრიგებლად ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარის კანდიდატურა ივარაუდეს.

საინტერესოა, კიდევ რამდენი ეროვნული გუნდისა თუ კლუბის მწვრთნელის პოსტზე განიხილავენ სკოლარის კანდიდატურას, ჯერჯერობით, ვინც კი მწვრთნელის ძიებაშია, ყველა ბრაზილიელისკენ იშვერს თითს.

**ნინო ძაძამიშვილი**



# ზიდანს მაძლევდნენ, არ მომეწონა... ცუდად არ გიმუშავიათ, სინიორ გალიანი

## რივალდო მილანში ფლორენტინო პერესმა გაუშვა

*„მილანი" ომახიანად ბრუნდება საფეხბურთო ელიტაში, თვით მადრიდის „რეალის" ფრანგმა გამთამაშებელმა ზინედინ ზიდანმა ამას წინათ თქვა, ერთადერთი გუნდია, რომელიც ჩვენ შეგვეჭიდებაო. თუმც დავძენთ, რომ ზიზუს სიტყვები ცოტა გადამეტებულადაც ჟღერს, რამეთუ პირველი გუნდი, რომელმაც „რეალი" მისსავე მოედანზე წააქცია, იტალიურივე, ფაბიო კაპელოს გაწვრთნილი „რომა" გახლავთ. ისე, ზიდანის ნათქვამში სიმართლე ცოტა როდია...*



გალიანის თმაგრძელი და პირმშვენიერი ქალიშვილი რობატი

**როგორ ფიქრობთ**, მაინც რა უნდა იყოს ყოველივე ზემოთქმულის საფუძველი? „მილანის" ბოსთა მიერ ზაფხულში წარმატებით განხორციელებული სატრანსფერო პოლიტიკა თუ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ცოდნა-გამოცდილება? ალბათ, ორივე ერთად, ასე ფიქრობს „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი.

ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, გალიანი სწორედ ამაზე და ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე საუბრობს, თუმცა ალბათ, უპრიანი იქნება, თავად ხოტორა ფუნქციონერზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

როცა „მილანი" 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანების დასაწყისში ყველაფერს იგებდა, ქულებს პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი იწერდა და სამართლიანადაც: ბერლუსკონიმ 1986 წელს შეიძინა „მილანი" და დიდი გუნდის შენებასაც შეუდგა. როგორი გუნდები ჰყავდათ არიგო საკის და ფაბიო კაპელოს, ამაზე აღარ შევჩერდებით, ეს ყველამ იცის.

მერე ბერლუსკონი პოლიტიკაში გადაეშვა და შვილობილისთვისაც ვერ იცლიდა — ბოლოს და ბოლოს, კაცი იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა და „მილანი" სწორედ ადრიანო გალიანის ჩააბარა, კლუბს შენ მიხედე, მე მხოლოდ საქმის კურსში ჩამაყენეო.

გალიანიმაც მიხედა და... „მილანის" ჩავარდნაც დაიწყო:

— მართალია. თავიდანვე ვერ ავუღე ალღო, გამიჭირდა. გუნდის ჩავარდნაც ყველამ მე მომაწერა, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ. ტიფოზთაგან ქოქოლას ნაცვლად ახლა კომპლიმენტებს ვიღებ.

**— წლეულს ხმაურიანი და წარმატებული ტრანსფერები განახორციელეთ, ეს გუნდის თამაშსაც ეტყობა. ხომ შეიძლებოდა, ეს პროცესი შარშან ან შარშანწინ დაგეწყოთ?**

— ვერ დაგეთანხმებით. ფილიპო ინძაგი და მანუელ რუი კოშტა, ორი ჩინებული ფეხბურთელი, ჩვენ სწორედ შარშან შევიძინეთ. უბრალოდ, გუნდს თამაში ახლა წაუვიდა. „მილანის" ჩავარდნის მიზეზებსაც მოგახსენებთ. ჩავარდნა ზოგადად იტალიურ ფეხბურთს შეეხო, რომლის ნაწილიც „მილანია". 80-იანების ბოლოს და 90-იანების შუამდე ჩვენმა კლუბებმა ევროპაში ყველაფერი მოიგეს. სულ ცოტა, ნებისმიერი ევროთასის ფინალში ვიყავით და ხშირადაც ვიგებდით. მეტიც, ერთხელ სამივე თასი იტალიელებს დარჩათ. ერთი სიტყვით, ევროთასები საშინაო ტურნირებად გადავიქციეთ, რისი დაგვირგვინებაც ევრო 2000-ზე ვიცე-ჩემპიონობა გახლდათ. სამწუხაროდ, იტალიის ნაკრებს ჩემპიონობამდე სულ რაღაც წამები დააკლდა. მერე კი ავირიეთ, კლუბების ფინანსური კრიზისიც დაერთო და იტალიამაც წინ მიმავალ ევროპულ ფეხბურთს ფეხი ვერ აუწყო, კორეა-იაპონიაში ნაკრების კრახიც ამის გამოძახილია. იმედი მაქვს, შავი დროება უკვე წარსულს ჩავაბარეთ და იტალიელები ძველებურად ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა გავხდებით.

**— სინიორ გალიანი, როგორ ფიქრობთ, „მილანის" საოცარი თამაში შემთხვევითობაა თუ...**

— ვფიქრობ, რომ კანონზომიერია. გუნდის გასაძლიერებლად არაფერი დავიშურეთ. 20 ივლისისთვის უკვე მილანელები იყვნენ იონ დალ ტომასონი, კლარენს ზეედორფი, დარიო შიმიჩი, დიდა და მარკო ბორიელო. ამასთან ტომასონი, როგორც თავისუფალი აგენტი, ისე ჩავიგდეთ ხელში. ზეედორფი და შიმიჩი „ინტერს" კოკო-უმითში გავუცვალეთ, დიდა და ბორიელო კი ისედაც ჩვენი იყვნენ და იჯარით გვყავდა განათხოვრებული. ერთი სიტყვით, ხუთი ძლიერი ფეხბურთელი დავიმატეთ, თანაც უფასოდ. მგონი, ცუდად არ გვიმუშავია და ეს შემთხვევითობაა?

**— კარგით, მაშინ ფაბიო კანავარო რატომ ვერ გადაიბირეთ?**

— ჩვენი უმთავრესი მიზანი ალესანდრო ნესტას „მილანში" გადმოყვანა იყო. კანავაროზე გაზეთები ჭორაობდნენ, თორემ პირველი მე ვიცოდი, რომ ფაბიოს „ინტერისკენ" მიუწევდა გული.

**— ნესტამდე რივალდო იყო, თანაც უფასოდ...**

— გეტყვით, რაც მოხდა. 21 ივლისს ესპანურ იბიცაზე მადრიდის „რეალის" პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს შევხვდი. პერესს ჩვენი მცველი როკე ჟუნიორი სურდა. საუბრისას კი ფლორენტინომ მითხრა: ადრიანო, იცი რივალდო „ბარსელონას" ტოვებს, არ გინდა, ეს კაცი ესპანეთს მოაშორო, თანაც უფასოდ ჩაიგდებ ხელშიო. ჭკუაში დამიჯდა და უმალ ბერლუსკონის დავუკავშირდი, დონ სილვიომ „ბარსელონასთან" მოლაპარაკებაც არ მაცალა, რივალდოს თავად დაურეკა და როგორც ხედავთ, ბრაზილიელი ახლა „მილანშია". რივალდო რომ გუნდს ბევრ სარგებლობას მოუტანს, ეს ცხადზე უცხადესია.

**— „მილანმა" ექვსი ფეხბურთელი უფასოდ აიყვანა, აი, ნესტა ძვირი ხომ არ დაგიჯდათ?**

— ზუსტად იმდენი, რამდენსაც ნესტას ტრანსფერი ითხოვდა. „ლაციოს" პრეზიდენტთან თავიდანვე 26 მილიონ ევროზე შევთანხმდით, მაგრამ „მანჩესტერმა" რიო ფერდინანდში 45 მილიონი ევრო რომ გადაიხადა, კრანიოტიმაც ნესტას ფასს აუწია. არ შევუშინდი და ბერლუსკონის დავუკავშირდი. მას 31 მილიონი ეძვირა, მითხრა, მე 26-ს გამოვდივარ, თუ ეგრე ძალიან გინდა, 5 მილიონი თავად იშოვეო. ნესტას ვერ შევეშვებოდი, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე (31 აგვისტო) საათებით ადრე ფული ვიშოვე და არც ვნანობ, ნესტამ „მილანის" დაცვა შეკრა და უმალ გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა.

**— საინტერესოა, საიდან იშოვეთ თანხა, ალბათ, ფეხბურთელების გასხვისებით...**

— ცხადია. მადრიდის „ატლეტიკოს" უმალ რუმინელი კონტრა მივყიდეთ 8 მილიონად, ამასთანავე მადრიდელებმა ალბერტინის, ხოსე მარის და კოლონჩინის სანაცვლოდ იჯარის ფული მოგვცეს. ხავი მორენოში კი 15 მილიონი გადაგვიხადეს.

**— მაინც რას იტყვით, „მილანის" წლევანდელი თამაში ახალი ფეხბურთელების დამსახურებაა თუ კარლო ანჩელოტის?**

— ორივესი. თუ რივალდო ვარსკვლავი და ჩამოყალიბებული ფეხბურთელია და გუნდისთვის ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია, პირლო ხომ სწორედ ანჩელოტიმ აღმოაჩინა. ანჩელოტის განკარგულებაში ბევრი შემტევი ფეხბურთელია, პირლოც ერთ-ერთი მათგანია. იყო საშიშროება, რომ იგი საერთოდ ჩაიკარგებოდა, მწვრთნელმა კი მას ახალი ამპლუა გამოუძებნა. თავად ანდრეამაც ბრწყინვალედ გაართვა თავი საყრდენ ნახევარმცველობას და, როგორც ხედავთ, „მილანს" ჩინებული შუახაზელი ჰყავს. ერთი სიტყვით, ყოჩაღ, ანჩელოტი!

**— როცა ზეედორფი გადმოვიდა, პირველსავე ვარჯიშზე ტიფოზებმა თქვენც და მასაც გვარიანად გისტვინეს...**

— სტვენა კი არა, ბაზაზე ძლივს შევაღწიეთ, მაგრამ დრო შეიცვალა, ახლა ზეედორფი უყვართ. მეტიც, აღმერთებენ. მე სტვენას უკვე შეგუებული ვარ, ერთადერთხელ ვიგრძენი ძალიან შეურაცხყოფილად თავი, 1996 წელს ჩემპიონთა ლიგაში „სან სიროზე" „რუსენბორგმა" რომ მოგვიგო და ტურნირიდან გამოგვთიშა. რაც იმ დღეს ჩვენ მოგვხვდა, იმდენი ლაყე კვერცხი ცხოვრებაში არ მინახავს. ტიფოზებმა სირცხვილი ვერ აიტანეს, მიუხედავად იმისა, რომ ზედიზედ ოთხჯერ მოვიგეთ სკუდეტო და სამჯერ ვითამაშეთ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ხომ არ შეიძლება ყველაფრის დავიწყება? მოკლედ, ქომაგებს რას გაუგებ.

**— ზინედინ ზიდანმა თქვა, ერთადერთი გუნდი, რომელსაც „რეალთან" ტოლ-სწორად თამაში შეუძლია, „მილანიაო", ეთანხმებით?**

— ზიზუს კომპლიმენტი სასიამოვნოა, მაგრამ არამც და არამც თავში არ უნდა აგვივარდეს. მე მხოლოდ ერთი ვიცი, „მილანს" არაფერი აკლია — ბრწყინვალე ფეხბურთელები და ჩინებული მწვრთნელი ჰყავს. დროა, დიდება დავიბრუნოთ. წლეულს სამივე ტურნირი უნდა მოვიგოთ — სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი. ზიდანზე კი ერთ ამბავს მოგიყვებით: 1996-ში ბორდოში რომ ჩავედი კრისტოფ დიუგარის ჩამოსაყვანად, „იუვენტუსმა" ზიდანს ჩაავლო ხელი. მეტყვით, რაღა დიუგარის დაადეთ ხელი, ზიზუ იქ არ იყოო? მაგრამ ზიდანი მაშინ ძალიან ახალგაზრდა გახლდათ, თანაც ჩვენ მის ადგილზე დეიან სავიჩევიჩი და რობერტო ბაჯო გვყავდა. ვისაც სურს, დაე, დამადანაშაულოს, მაგრამ მე ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, ეს ჩემი სამუშაოა.

**— შევჩენკოზეც ვთქვათ. ამბობენ, „მილანს" ფული შემოაკლდა, თავდასხმაშიც დიდი კონკურენციაა და შევჩენკოს გაყიდვას უპირებენო. „მანჩესტერს" მართლა უცვლით ბარტეზის და 30 მილიონი ევროს სანაცვლოდ?**

— ტყუილია. დავიღალე, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: შევჩენკო არ იყიდება! „ტუტოსპორტს" პასუხს მოვთხოვთ ცილისწამებისთვის. მათივე მტკიცებით, ჩვენ თურმე სერჟინიოს სანაცვლოდ „ინტერიდან" კანავარო ან გამარა მოგვყავს. კატეგორიულად ვაცხადებ, შევჩენკოც და სერჟინიოც „მილანში" ითამაშებენ და საერთოდ, ახლა არავის ყიდვა-გაყიდვას არ ვაპირებთ. გთხოვთ, მოვრჩეთ ამაზე საუბარს. როგორ ფიქრობთ, შევჩენკოში „რეალი" 100 მილიონ დოლარს არ იშურებდა და ახლა „მანჩესტერს" 30-ად დავუთმობთ? ესეც რომ არა, ანდრეი სილვიო ბერლუსკონის ჯილაა და მის გასხვისებას არასდროს დაუშვებს.



სილვიო ბერლუსკონიმ რივალდო წაიყვანა და კარლო ანჩელოტის მიჰგვარა





ადრიანო გალიანის თავის დროზე ლაყე კვერცხიც მოხვედრია

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ


| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.30 | 002 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-მიუნხენი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.30 | 004 | არმინია-ნიურნბერგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 18.30 | 005 | შალკე-ლევერკუზენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.30 | 006 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ჰერტა-ჰანზა | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 20.30 | 009 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 010 | ბურგჰაუზენი-ობერჰაუზენი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 22.00 | 011 | აინტრახტი-ბრაუნშვაიგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 012 | აინტრახტი-ბრაუნშვაიგი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 22.00 | 013 | ალემანია-უნიონი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ფიურტი-სტ.პაული | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 18.00 | 015 | ალენი-ლიუბეკი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 016 | დუისბურგი-მაინცი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 017 | კარლსრუე-ვალდჰოფი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 018 | კიოლნი-როიტლინგენი | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 019 | ფრაიბურგი-ტრიერი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XVI ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 021 | ბაბელსბერგი-მიუნსტერი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 22.00 | 022 | ოსნაბრიუკი-ჰამბურგი(მ) | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 023 | კიოლნი(მ)-დორტმუნდი(მ) | 3,4 | 3,3 | 1,95 | 1,67 | 1,23 | 1,22 |
| 17.00 | 024 | დინამო-ქემნიცი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 025 | აუე-დრეზდენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 026 | აუე-დრეზდენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.00 | 027 | ურდინგენი-ფერლი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 17.00 | 028 | პადერბორნი-ესენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 029 | ვერდერი(მ)-ვატენშაიდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.00 | 030 | ლევერკუზენი(მ)-კილი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVIII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 031 | ზაარბრიუკენი-ლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.00 | 032 | შვაინფურტი-ოფენბახი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 22.30 | 033 | დარმშტადტი-ჰოფენჰაიმი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 034 | ერფურტი-აალენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.30 | 035 | აინტრახტი(მ)-უნტერჰახინგი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| 17.30 | 036 | აუგსბურგი-ბაიერნი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 17.30 | 037 | ფულენდორფი-ვეენი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 17.30 | 038 | ელვერსბერგი-კიკერსი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 039 | ზიგენი-რეგენსბურგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.15 | 040 | სიტი-მანჩესტერი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 19.00 | 041 | არსენალი-ნიუკასლი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 042 | ასტონ ვილა-ფულემი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 044 | ჩელსი-ბირმინგემი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 045 | ჩელსი-ბირმინგემი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 046 | ევერტონი-ჩარლტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-ლივერპული | 3,2 | 3,1 | 2,15 | 1,57 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 048 | საუთჰემპტონი-ბლექბერნი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 049 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.05 | 050 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბრედფორდი-უიმბლდონი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 053 | ბარნლი-ქოვენტრი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 054 | კრისტალ პალასი-ნოტინგემი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 055 | დერბი-პორტსმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 056 | ჯილინგემი-რიდინგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 057 | ლესტერი-უოლსოლი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 058 | მილუოლი-პრესტონი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 19.00 | 059 | ნორვიჩი-უენსდი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 060 | როტერჰემი-უოტფორდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 061 | შეფილდი-იფსვიჩი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 062 | სტოკი-გრიმსბი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 063 | ვულვერჰემპტონი-ბრაიტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 064 | ვულვერჰემპტონი-ბრაიტონი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 065 | ბარნსლი-კარდიფი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 19.00 | 066 | კოლჩესტერი-ბრისტოლი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 067 | ქრუ-ბრენტფორდი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 19.00 | 068 | ჰადერსფილდი-უიკომბი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 069 | ლუტონი-პორტ ვეილი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 070 | ნოტსი-მენსფილდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 071 | პიტერბორო-ჩესტერფილდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 072 | პლიმუთი-ოლდემი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 19.00 | 073 | ქუინს პარკ-ნორთჰემპტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 074 | სტოკპორტი-ჩელტენჰემი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 075 | სუინდონი-ტრანმერი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 21.35 | 076 | ბლექპული-უიგანი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 077 | როვერსი-საუთენდი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 078 | ბერი-ტორკი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 079 | ექსეტერი-ჰარტლპული | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 19.00 | 080 | კიდერმინსტერი-კარლაილი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 081 | ლინკოლნი-ჰალი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 082 | ოქსფორდი-როჩდეილი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 19.00 | 083 | რაშდენი-დარლინგტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 084 | სკანთორპი-ბოსტონი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 19.00 | 085 | შრუსბერი-კემბრიჯი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 086 | სუონსი-მაკლსფილდი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 087 | რექსემი-ბორნმუთი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 19.00 | 088 | იორკი-ლეიტონი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **იტალია. სერია "C1 A". XI ტური** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 131 | ალბინოლეფე-პროპატრია | 1,7 | 2,7 | 6,0 | 1,04 | 1,32 | 1,86 |
| 17.30 | 132 | კარარეზე-ალძანო | 1,9 | 2,5 | 5,3 | 1,07 | 1,39 | 1,69 |
| 17.30 | 133 | ლუკეზე-არეცო | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 17.30 | 134 | ლუმეცანე-პიზა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 17.30 | 135 | პადოვა-ჩიტადელა | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 17.30 | 136 | პრატო-ტრევიზო | 2,8 | 2,7 | 2,6 | 1,37 | 1,34 | 1,32 |
| 17.30 | 137 | რეჯანა-პისტოიეზე | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 17.30 | 138 | სპალ-ჩეზენა | 2,35 | 2,7 | 3,2 | 1,25 | 1,35 | 1,46 |
| 17.30 | 139 | ვარეზე-სპეცია | 2,35 | 2,7 | 3,2 | 1,25 | 1,35 | 1,46 |
| | | **იტალია. სერია "C1 B". XI ტური** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 140 | აველინო-პესკარა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 17.30 | 141 | კიეტი-სამბენედეტეზე | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 17.30 | 142 | ჯულიანოვა-ტარანტო | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 17.30 | 143 | ლანჩანო-კროტონე | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 17.30 | 144 | მარტინა-ბენევენტო | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 17.30 | 145 | ტორესი-ტერამო | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 17.30 | 146 | სორა-აკვილა | 1,95 | 2,8 | 4,2 | 1,14 | 1,33 | 1,68 |
| 17.30 | 147 | პეზარო-პატერნო | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 17.30 | 148 | ვიტერბეზე-ფერმანა | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. IX ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 151 | მალაგა-ოსასუნა | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 22.00 | 152 | რაიო-რეალი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 23.00 | 153 | სოსიედადი-დეპორტივო | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 00.30 | 154 | ვალენსია-ბეტისი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 155 | ბარსელონა-ვილარეალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 156 | ბარსელონა-ვილარეალი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 20.00 | 157 | სელტა-ესპანიოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 20.00 | 158 | მალიორკა-ალავესი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 20.00 | 159 | სევილია-რასინგი | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| 20.00 | 160 | უელვა-ვალიადოლიდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 23.30 | 161 | ატლეტიკო-ბილბაო | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. X ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 162 | ტენერიფე-ელჩე | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 21.30 | 163 | კორდობა-ლეგანესი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 14.30 | 164 | ხეტაფე-ეიბარი | 2,15 | 2,9 | 3,4 | 1,23 | 1,31 | 1,56 |
| 15.00 | 165 | ლევანტე-სპორტინგი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 166 | ოვიედო-ტერასა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 167 | სალამანკა-ალბასეტე | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 20.00 | 168 | სარაგოსა-ალმერია | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 20.00 | 169 | კიმნასტიკა-ბადახოსი | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 20.00 | 170 | ფეროლი-ნუმანსია | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 20.00 | 171 | მურსია-ხერესი | 2,15 | 2,9 | 3,4 | 1,23 | 1,31 | 1,56 |
| 20.00 | 172 | ეხიდო-ლას პალმასი | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 173 | აიაჩო-ოსერი | 2,8 | 2,9 | 2,45 | 1,42 | 1,3 | 1,32 |
| 23.00 | 174 | ლე ავრი-ლიონი | 3,1 | 2,9 | 2,3 | 1,49 | 1,32 | 1,28 |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 175 | ნიცა-მონაკო | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 176 | ბორდო-რენი | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 23.00 | 177 | გენგამი-მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.00 | 178 | ლილი-ნანტი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.00 | 179 | მონპელიე-სედანი | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 23.00 | 180 | პსჟ-სოშო | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 23.00 | 181 | სტრასბური-ლანსი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 23.00 | 182 | ტრუა-ბასტია | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 183 | ვალკალი-კანი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 184 | გენიონი-ამიენი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 185 | ისტრი-ნანსი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 23.00 | 186 | ლე მანი-ბოვე | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 187 | მეცი-შატორუ | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 188 | ნიორი-ვალანსი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 189 | რეიმსი-გრენობლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.00 | 190 | სტ.ეტიენი-კრეტეი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 23.00 | 191 | ტულუზი-კლერმონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.45 | 192 | ლორიანი-ლავალი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 193 | გიმარაეში-სპორტინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 194 | მარიტიმუ-ბრაგა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.00 | 195 | ბოავისტა-მორეირენსე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 196 | ბოავისტა-მორეირენსე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 01.00 | 197 | სეტუბალი-პორტუ | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 198 | ბეირა მარი-ვარზიმი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 20.00 | 199 | ლეირია-სანტა კლარა | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,11 | 1,24 | 1,9 |
| 20.00 | 200 | ნასიონალი-აკადემიკა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 23.00 | 201 | ბენფიკა-ფეირენსე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 202 | ბენფიკა-ფეირენსე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 203 | ჟილ ვისენტე-ბელენენსეში | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 204 | ავეში-ამადორა | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 205 | ალვერკა-სალგეიროში | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 19.00 | 206 | კოვილია-ლამაში | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 207 | ოვარენსე-მაია | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 19.00 | 208 | შავეში-მადეირა | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 209 | მარკუ-პორტიმონენსე | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 20.00 | 210 | ნავალი-ფარენსე | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 20.00 | 211 | რიო ავე-ფელგეირაში | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 20.00 | 212 | ლეცა-პენაფიელი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 213 | როდა-აიაქსი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 214 | ტილბურგი-ვიტესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 22.30 | 215 | ბრედა-გრონინგენი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 216 | ბრედა-გრონინგენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 22.30 | 217 | გრაფსხაპი-ექსელსიორი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 218 | ჩუკ-პარტიზანი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 219 | ჩუკ-პარტიზანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 22.30 | 220 | ალკმაარი-როზენდალი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 221 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 17.30 | 222 | ვალვაიკი-უტრეხტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.30 | 223 | ფეიენოორდი-ზვოლე | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 224 | ფეიენოორდი-ზვოლე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 225 | ვეენდამი-დორდრეხტი | 1,55 | 3,8 | 4,4 | 1,1 | 1,14 | 2,03 |
| 23.00 | 226 | ვოლენდამი-სიტარდი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 227 | ვოლენდამი-სიტარდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 23.00 | 228 | ოსსი-ეინდჰოვენი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 23.00 | 229 | ემენი-ტელსტარი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 23.00 | 230 | ვენლო-სპარტა | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 231 | კამბური-ჰერაკლესი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.30 | 232 | ეშენი-მაასტრიხტი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 233 | ეშენი-მაასტრიხტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 234 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 235 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 236 | სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 237 | ბრიუგე-გენკი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 238 | ლიერსე-გენტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.00 | 239 | ლოკერენი-შარლერუა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 240 | ლოკერენი-შარლერუა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 23.00 | 241 | ბერსხოტი-მუსკრონი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.00 | 242 | ლომელი-ანტვერპენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 23.00 | 243 | ვესტერლო-მეხელენი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,64 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 244 | ლიერსი-მონსი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 245 | ლიერსი-მონსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 246 | ბევერენი-სტანდარდი | 3,0 | 3,3 | 2,15 | 1,57 | 1,25 | 1,3 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 247 | ჰეუსდენი-დენდერლეუვე | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | 248 | ჰეუსდენი-დენდერლეუვე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 249 | დაინცე-ეუპენი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 250 | პატრო-ინგელმუნსტერი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 23.00 | 251 | ლოკე-ტიენენი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 23.00 | 252 | ვირტონი-გეელი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 253 | რუსელარე-დესელი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 18.00 | 254 | ვიგორი-ვარეგემი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 255 | სტრომბეკი-რონსე | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 256 | ვესტი-ხერელი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| | | **საბერძნეთი. VII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 257 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 258 | ირაკლისი-პაოკ | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 17.00 | 259 | იანინა-ეგალეო | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 17.00 | 260 | პროდეფტიკი-კრატიტისი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 17.00 | 261 | ქსანთი-პანაჰაიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 262 | ქსანთი-პანაჰაიკი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 17.00 | 263 | იონიკოსი-ოფი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 17.00 | 264 | არისი-კალითეა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 265 | არისი-კალითეა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 21.00 | 266 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 267 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **ჩეხეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.25 | 268 | სიგმა-სპარტა | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.15 | 269 | ჟიჟკოვი-სლავია | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 17.00 | 270 | იაბლონეცი-ბანიკი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 17.00 | 271 | ბლშანი-სინოტი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 272 | ზლინი-ბრნო | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.30 | 273 | ჰ.კრალოვე-ლიბერეცი | 4,0 | 3,0 | 1,9 | 1,71 | 1,28 | 1,16 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 274 | პრშიბრამი-ბუდეიოვიცე | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 275 | ბოჰემიანსი-ტეპლიცე | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| | | **პოლონეთი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 276 | ოსტროვეცი-პოლონია | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 277 | ზაგლემბე-ამიკა | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 278 | გროცლინი-რუხი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.00 | 279 | ლეგია-გარბარნია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 280 | ლეგია-გარბარნია 0:1 | 1,7 | 3,2 | -3,2 | | | |
| 21.00 | 281 | პოგონი-ლეხი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 21.00 | 282 | გურნიკი-ვიძევი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 283 | ვისლა-პლოცკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 284 | ვისლა-პლოცკი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 285 | ოდრა-კატოვიცე | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| | | **თურქეთი. XII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 288 | ბეშიქთაში-ელაზიგი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 289 | ბეშიქთაში-ელაზიგი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 290 | დიარბაქირი-ანკარაგუჯუ | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 15.30 | 291 | გიოზტეპე-ტრაბზონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 15.30 | 292 | ისტანბული-გაზიანთეპი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 21.00 | 293 | ადანა-გალათასარაი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 294 | კოჯაელი-დენიზლი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 15.30 | 295 | გენჩლერბირლიგი-ალთაი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 15.30 | 296 | ბურსა-მალათია | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 21.00 | 297 | სამსუნი-ფენერბაჰჩე | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 298 | პარტიკი-აბერდინი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 299 | ლივინგსტონი-ჰარტსი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 300 | მაზერველი-კილმარნოკი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 301 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 302 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 19.00 | 303 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 304 | ეარი-ქუინი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 305 | ფოლკირკი-ალოა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 306 | ფოლკირკი-ალოა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 307 | როსი-ინვერნესი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 308 | სტ.ჯონსტონი-არბროთი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 309 | სტ.მირენი-კლაიდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 310 | ეარდრი-დამბარტონი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 311 | ბრიჩინი-ჰამილტონი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 19.00 | 312 | ფორფარი-ბერვიკი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 19.00 | 313 | რეითი-კოუდენბითი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 314 | სტრანრაერი-სტენჰაუსმუირი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 315 | ალბიონი-გრეტნა | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,64 |
| 19.00 | 316 | ისტ სტირლინგი-სტირლინგი | 3,0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| 19.00 | 317 | მონტროუზი-ისტ ფაიფი | 2,9 | 3,3 | 2,2 | 1,54 | 1,25 | 1,32 |
| 19.00 | 318 | პიტერჰედი-ელგინი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 319 | ქუინზ პარკი-მორტონი | 3,0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| | | **დანია. XV ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 320 | ვიბორგი-ოლბორგი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 321 | ფალემისკი-კოპენჰაგენი | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 18.00 | 322 | კოგე-ფარუმი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 18.00 | 323 | ოდენსე-ორჰუსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 324 | სილკებორგი-მიდტიულანდი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 20.35 | 325 | ბრონდბიუ-ესბიერგი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი. გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 336 | ლოზანა-ვადუცი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| | | **ესპანეთი. თასი. 1/16 ფინალი.** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 396 | ნუმანსია-სელტა | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 416 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |
| | | **შვეიცარია. თასი. 1/16 ფინალი** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 424 | ბელინცონა-გრასჰოპერი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 425 | ბადენი-აარაუ | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 17.30 | 426 | კონკორდია-სერვეტი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 17.30 | 427 | შაფჰაუზენი-ციურიხი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| | | **შვედეთი. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 428 | აიკ-იორგრიტე | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **ფინეთი. თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 429 | ჰაკა-ლაჰტი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | **უეფას თასი. II ეტაპი. II მატჩი.** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 431 | ჰერტა-აპოელი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | | **ჰოკეი. კარიალის თასი.** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 744 | ჩეხეთი-შვედეთი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 20.30 | 745 | ფინეთი-რუსეთი | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| | | **ჰოკეი. NHL.** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 613 | რეინჯერსი-კალგარი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 04.00 | 614 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,85 | 4,0 | 2,7 | 1,26 | 1,09 | 1,61 |
| 04.00 | 615 | ვაშინგტონი-ფლორიდა | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
| 04.00 | 616 | კაროლინა-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,8 | 1,24 | 1,09 | 1,64 |
| 04.30 | 617 | მონრეალი-აილენდერსი | 1,85 | 4,0 | 2,7 | 1,26 | 1,09 | 1,61 |
| 05.00 | 618 | დეტროიტი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 05.00 | 619 | სტ.ლუისი-კოლუმბუსი | 1,5 | 4,0 | 4,0 | 1,09 | 1,09 | 2 |
| 05.30 | 620 | ნეშვილი-ატლანტა | 1,6 | 4,0 | 3,4 | 1,14 | 1,08 | 1,83 |
| 06.00 | 621 | ფინიქსი-მინესოტა | 2,25 | 4,0 | 2,2 | 1,44 | 1,11 | 1,41 |
| 07.30 | 622 | სან ხოსე- ნეშვილი | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 623 | ოტავა-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,6 | 1,28 | 1,09 | 1,57 |
| 04.00 | 624 | აილენდერსი-ედმონტონი | 1,95 | 4,0 | 2,5 | 1,31 | 1,09 | 1,53 |
| 04.30 | 625 | ტამპა ბეი-პიტსბურგი | 2,15 | 4,0 | 2,3 | 1,39 | 1,11 | 1,46 |
| 04.30 | 626 | დალასი-ტორონტო | 1,75 | 4,0 | 2,9 | 1,21 | 1,09 | 1,68 |
| 06.00 | 627 | კოლორადო-ანაჰაიმი | 1,65 | 4,0 | 3,2 | 1,16 | 1,08 | 1,77 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 679 | ცსკა-რეალი | 1,4 | 12,0 | 2,4 | | | |
| 21.30 | 680 | ულქერი-კინდერი | 1,7 | 12,0 | 1,9 | | | |
| 23.00 | 681 | ალბა-ციბონა | 1,85 | 12,0 | 1,75 | | | |
| 23.00 | 682 | ოლიმპიაკოსი-ვილერბანი | 1,4 | 12,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 683 | ბარსელონა-ბენეტონი | 1,4 | 12,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 684 | ოლიმპია-მაკაბი | 1,85 | 12,0 | 1,75 | | | |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.30 | 714 | ბოსტონი-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,6 | | | |
| 05.00 | 715 | მინესოტა-მილუოკი | 1,35 | 12,0 | 2,5 | | | |
| 07.00 | 716 | დენვერი-დეტროიტი | 2,2 | 12,0 | 1,5 | | | |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 16.15 | 2602 | ინგლისი პლ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 21.00 | 2604 | იტალია "A" (IX ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 21.00 | 2605 | ესპანეთი Iდ. (IX ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 07.11 23.00 | 2606 | საფრანგეთი Iდ. (XIV ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 08.11 01.00 | 2607 | პორტუგალია Iლ. (X ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 08.11 23.00 | 2608 | ჰოლანდია Iდ. (XI ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 08.11 23.00 | 2609 | ბელგია Iდ. (XII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 08.11 22.00 | 2610 | თურქეთი. (XII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |


## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ქალბატონები და პიონერები

## დედოფალი ისევ ქართული ფიგურაა

## ყოჩაღ, ძმაო: კაცები ქალებივით იბრძვიან

დასაწყისი პირველ გვერდზე

**ბლედში** მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი მოჭადრაკის ჩამოუსვლელობამ, ცოტა არ იყოს, შეანელა ინტერესი ოლიმპიადისადმი. სლოვენიას სხვადასხვა მიზეზით არ სტუმრობენ: ვიშვანათან ანანდი, რომელსაც ოლიმპიადის რეგლამენტი არ მოსწონს — მიაჩნია, რომ ის დამღლელი და მომქანცველია, თუმც არ გამორიცხავს მომავალში მასში მონაწილეობას; ვლადიმირ კრამნიკი დაღლილობას იმიზეზებს, თუმც ბევრს მიაჩნია, რომ კასპაროვი და კრამნიკი ერთ გუნდში ადგილს ვერ გაიყოფდნენო (უფრო სწორად, დაფების ნომრებს); ანატოლი კარპოვს და ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს თავიანთ ფედერაციებთან პრობლემები აქვთ, ევგენი ბარეევს პირადული მოტივაცია გააჩნია, ფრანგთა ლიდერი ჟოელ ლოტიე სტრესშია და მიზეზად მოლდაველ მეუღლესთან ელმირა სკრიპჩენკოსთან გაყრა სახელდება. ეს უკანასკნელი კი პირველად გამოდის ფრანგების სახელით; ალისა გალიამოვას ჰონორარიც ეცოტავება და რელიგიური ფაქტორებიც წარმოიშვა, სე ძიუნი კი ბავშვს ელოდება...

რამდენიმე ოლიმპიადის გამოტოვების შემდეგ ყველა ინტერესით შეხვდა გარი კასპაროვის გამოჩენას რუსეთის ნაკრებში. სხვათა შორის, მას არც პირადი დაცვა დაჰყვება და არც განცალკევებით ცხოვრობს. ესაა, რომ აჩრდილივით ყველგან დაჰყვება მისი შტაბის წევრი, გროსმაისტერი ვლადიმერ დოხოიანი. მსოფლიოს ნომერ პირველ მოჭადრაკესთან ინტერვიუს შანსის ხელიდან გაშვება არ მინდა და ავტორიტეტული შუამავლების დახმარებით „სარბიელისთვის" საუბარი ვთხოვე. „ასეთ წარმომადგენლობით დელეგაციას უარს როგორ ვეტყვი, თუმც თქვენ იქნებით ერთადერთი გამონაკლისი ამ ოლიმპიადაზე — მე ხომ აქ სამუშაოდ ჩამოვედი! ამიტომ მხოლოდ 30-40 წუთით შემოვიფარგლოთ" — გამაფრთხილა მსოფლიოს ექსჩემპიონმა. „თუ კარგ ხასიათზე იქნება, რაც დამოკიდებულია მისი და რუსეთის გუნდის შედეგებზე, შეიძლება სამჯერ ორმოცი წუთიც ილაპარაკოს" — მეუბნება წლების მანძილზე გარი კასპაროვის გუნდის წევრი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

ინტერესს იწვევს ოლიმპიადაში 15 წლის აზერბაიჯანელი თემურ რაჯაბოვის მონაწილეობა. მოჭადრაკის სამშობლოში მიაჩნიათ, რომ თემური სულ მალე გახდება მეორე მსოფლიოს ჩემპიონი (გარი კასპაროვი ხომ ბაქოელია). ამას წინათ აზერბაიჯანის დედაქალაქში ყოფნისას ჩვენთან შეხვედრისას ამაზე ისაუბრეს ქვეყნის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა და მისმა ვაჟმა და სავარაუდო მემკვიდრემ, ეოკ-ის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა.

თემურ რაჯაბოვის წარმატებები თვალშისაცემია. მსოფლიო რეიტინგით ის უკვე 61-ეა. გარი კასპაროვის აზრით, უახლოეს წლებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი სამ მოჭადრაკეს აქვს — ალექსანდრ გრიშჩუკს, რუსლან პონომარიოვსა და თემურ რაჯაბოვს. აქვე შეგახსენებთ, რომ 20 წლის უკრაინელი პონომარიოვი უკვე არის მსოფლიოს ჩემპიონი ფიდეს ვერსიით.

ამჟამად თემურს კონსულტაციებს ზურაბ აზმაიფარაშვილი უწევს. საინტერესოა, რომ მეცხრე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ზურაბის ყოფილი და ამჟამინდელი შეგირდები — ფრანგი ეტიენ ბაკრო და თემურ რაჯაბოვი. ბლედში უფრო გამოცდილმა ფრანგმა იმარჯვა.

და კიდევ ერთი, რასაც შეუძლებელია, ყურადღება არ მიაქციო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოჭადრაკეთა უმრავლესობა თავისუფალი ჩაცმისა და ქცევის ხალხია, ნაკლებად თუ აქცევენ ყურადღებას მიღებულ ნორმებს. თემური კი სულ გამოწკეპილი, კლასიკურად ჩაცმული, კოხტად თმაშეკრეჭილია და დახვეწილი მანერებით გამოირჩევა.

–ტურნირი ფინიშს მიუახლოვდა — ოთხი ტურიც და 35-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, „ნონას თასის" მფლობელსაც დაჯილდოების ცერემონიალზე მიიწვევენ. ბლედი კი ესტაფეტას მომავალი — 2004 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძელს, ესპანეთის ქალაქ მალიორკას გადასცემს.

არავის ეპარება ეჭვი, რომ საქართველოს ქალთა გუნდი ელისტის ბრინჯაოსა და სტამბოლის ვერცხლის შემდეგ კვლავ ოქროს მედლებს დაეპატრონება. ქართველთა „შესანიშნავი ოთხეული" მართლაც რომ შესანიშნავად თამაშობს. „როგორ შეიძლება თამაშის ხარისხითა და კლასით საქართველოს ნაკრებს რომელიმე გუნდი შევადაროთ. ისინი ბრწყინვალე ფორმაში არიან და ჩემპიონობა მათზე ალალია" — მეუბნება ფლორენსიო კომპომანესი, ფიდეს საპატიო პრეზიდენტი. „დღევანდელი მატჩი თქვენებსა და ჩვენებს შორის ნაკლებად მაინტერესებს. წინასწარვე ყველაფერი ნათელია. ერთი ქულაც თუ ავიღეთ, ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ. ქართველებს ჩემპიონობა გარანტირებული გაქვთ — შანსი არავის მიეცით" — ეს უკვე დამღლელად ენაწყლიანი უნგრელი ჟურნალისტის იოჟეფ ბაშკულაინის სიტყვებია, რომლისთვისაც მიმდინარე ოლიმპიადა რიგით მეოცეა. „რევანშს კაცებთან მატჩში ავიღებთ. მე გული იმაზე მწყდება, როგორ გაუშვა გუშინ კასპაროვი ლეკომ. ჩემი თანამემამულე ერთ სვლაში იგებდა და რუსებსაც ვეწეოდით" — ჩიოდა უნგრელი.

ჩვენი ქალების წარმატებები ძირითადად განპირობებულია გუნდის ლიდერების, მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მშვენიერი, ლაღი და დამაჯერებელი თამაშის მაღალი კლასით. ამ ორი წლის წინ სტამბოლურ რეპორტაჟებში აღვნიშნავდი, რომ მაია გარკვეულწილად თავს არიდებდა აქტიურ თამაშს, ზედმეტად ხშირად ისვენებდა და მაშინ რომ ჩვენები ოქროს ვერ შესწვდნენ, გუნდის ლიდერის გაუმართლებლად ფრთხილ თამაშსაც მივაწერდით.

ბლედში კი სულ სხვა მაიაა — დიდი მოჭადრაკე და გუნდის უპირობო ლიდერი, და რაც მთავარია, ბოლომდე მებრძოლი. რად ღირს თუნდაც ბოლო ოთხ ტურში მის მიერ ნაჩვენები ასპროცენტიანი შედეგი, რომელთაგან სამში კენჭისყრამ შავი ფიგურები არგუნა.

საყოველთაოდაა ცნობილი ნანა იოსელიანის საჭადრაკო კლასი და ერუდიცია, უზარმაზარი გამოცდილება, მუდმივი მზადყოფნა, ყველაფერი გააკეთოს გუნდის ინტერესებისთვის, შესანიშნავი პიროვნული თვისებები, კარგი გუნება-განწყობილების შექმნას რომ უწყობს ხელს მთელს ქართულ დელეგაციაში. თავის სიმაღლეზეა სტამბოლის ოლიმპიადის გმირი ნინო ხურციძე, შესანიშნავი შედეგები აქვს მუდამ აკადემიურად მშვიდ, ყოველთვის გაწონასწორებულ, საჭადრაკო დაფასთან ფუტკარივით მშრომელ ქეთინო არახამიას.

2,5 ქულა საკმაოდ დიდი ფორაა და თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ მოხდა, საქართველოს ქალთა ნაკრები სამშობლოში ოქროს მედლებით უნდა დაბრუნდეს.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ვაჟთა ნაკრების მიერ ნაჩვენებ კარგ შედეგებს — მათი ადგილი პრესტიჟულ ათეულში ყოველთვის მოიძებნა! ბლედშიც — ათი ტურის შემდეგ რვა გამარჯვება გადახალისებული შემადგენლობის საქართველოს ნაკრებისთვის ნამდვილი წარმატებაა. რუსეთის ნაკრებთან მარცხი პროგნოზირებადიც კი იყო, თანაც გუნდის ლიდერების, ორი ზურაბის — აზმაიფარაშვილისა და სტურუას გარეშე. სხვათა შორის, გარი კასპაროვმა, როცა საქართველოს გუნდის შემადგენლობას გაეცნო რუსეთთან მატჩში, ასეთი კომენტარი გააკეთა: „ქართველებს ჩვენს წინააღმდეგ პიონერები გამოჰყავთ პიონერხელმძღვანელების გარეშე". რუსეთის ძლიერ და საჩემპიონოდ შემართულ გუნდს ქართველმა „პიონერებმა" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს.

მეტად დასანანი მარცხი იწვნიეს ჩვენებმა მე-9 ტურში ბოსნია-ჰერცეგოვინის გუნდთან.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა შავებით პრედრაგ ნიკოლიჩთან სწრაფად გაათანაბრა პოზიცია და ყაიმიც დაფიქსირდა. მომდევნო სამ დაფაზე ქართველები ორში უკვე თეთრებით თამაშობდნენ. დებიუტში ზურაბ სტურუას სუატ ატალიკთან მოულოდნელად სერიოზული შეცდომა მოუვიდა და დანებდა. ზურაბი იშვიათად აგებს ხოლმე და ეს მარცხი მწვავედ განიცადა. მაგრამ მატჩი წასაგები ნამდვილად არ იყო.

ჯერ იყო და, მიხეილ მჭედლიშვილმა შავი ფიგურებით შეუძლებელი შეძლო და გუნდს ქულა მოუტანა. მე-4 დაფაზე ბაადურ ჯობავას აშკარად მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, შემდეგ იყო და, მოწინააღმდეგემ, ვიტომირ არაპოვიჩმა უკვე თანაბარ პოზიციაში ყაიმი შესთავაზა, ქართველმა არ მიიღო და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე — საბოლოოდ დამარცხდა. ამ უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკისთვის დამახასიათებელია მოჭარბებული ტემპერამენტი, ელვისებური თამაშის მანერა, რაც ხშირად ვნებს მის შედეგებს. გეჩვენება, რომ ბაადური ყოველთვის სწრაფ ჭადრაკს თამაშობს (რომელშიც, სხვათა შორის, საკმაოდ გაწაფულია), არადა, დროც ბევრი ჰქონდა და საფიქრალიც. ტურის შემდეგ კითხვაზე — ყაიმზე რატომ არ დათანხმდიო, პასუხი, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ლოგიკური გახლდათ — გავბრაზდი, მოგებული პარტია რომ ვერ მოვიგე და შემოთავაზებულ ყაიმზე უარი მექანიკურად გამომივიდაო. ღმერთმა იცის, როდის იჩენს თავს ეს ნახევარი ქულა.

კიდევ კარგი, უკვე მომდევნო ტურში საქართველოს ნაკრებმა ოლიმპიადაზე რეიტინგით მეხუთე გუნდის — ჰოლანდიის დამარცხება შეძლო და ექვსეულში მოხვედრის კარგ შანსს კვლავ ინარჩუნებს.

ჭადრაკის სპეციალისტებში გარკვეულ კითხვებს ბადებდა საქართველოს გუნდში გია გიორგაძის შეუყვანლობა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გია შედარებით ცოტას თამაშობს, მიაჩნდათ, რომ მის გამოცდილებასა და კლასს სარგებლობის მოტანა შეეძლო ნაკრებისთვის. მით უმეტეს, რომ მისი რეიტინგი ქართველ მოჭადრაკეთა შორის ზურაბ აზმაიფარაშვილის შემდეგ რიგით მეორე იყო.

ჩვენი გუნდის ლიდერი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომ იტყვიან, თავს არ ზოგავს, პირველ ათ ტურში მხოლოდ ერთხელ აიღო ტაიმ-აუტი. პირველ დაფაზე გრანდებთან ჭიდილში მისი სტაბილური და წარმატებული თამაშით ბევრად არის განპირობებული დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა — მე-5-მე-9 ადგილები, უკეთესი კოეფიციენტის წყალობით კი სუფთა მეხუთე საფეხური, თანაც ზურაბი აქტიურადაა ჩაბმული ფიდესა და ევროპის საჭადრაკო კავშირის სხვადასხვა სტრუქტურაში, მას მრავალი ფუნქცია აკისრია აქ მიმდინარე ფიდეს კონგრესის ფარგლებშიც.

მხოლოდ საქებარი სიტყვები შეიძლება ითქვას საქართველოს ნაკრების ოთხივე ახალგაზრდა წევრზე. ასაკის მიუხედავად ძალზე სერიოზული და საიმედო ძალაა მიხეილ მჭედლიშვილი, კაცი რომელიც მთლიანად იცლება საჭადრაკო დაფასთან, თავაუღებლივ შრომობს პარტიის მსვლელობისას — იგი ნამდვილად კარგი შენაძენია ქართული ჭადრაკისთვის. 18 წლის ზვიად იზორიამ უკვე მოასწრო ჭადრაკში საკმაოდ სოლიდური ცოდნის შეძენა და მომავალში გარკვეული შრომა დასჭირდება მისი რეალიზაციისთვის. ზვიადისა და ბაადურის ნიჭიერებაზე ისიც მეტყველებს, რომ ორივენი მსოფლიოს რეიტინგით ჭაბუკთა შორის საუკეთესო ოცეულში არიან რუსლან პონომაროვის, ალექსანდრ გრიშჩუკის, ეტიენ ბაკროს, თემურ რაჯაბოვის, პონს ვალიეხოს კომპანიაში.

ამბობენ, რომ თავის დროზე საჭადრაკო ტალანტის ამოცნობის ინტუიციის მქონე აწგანსვენებულმა შოთა ინწკირველმა მერაბ გაგუნაშვილს კარგი საჭადრაკო მომავალი უწინასწარმეტყველა. 17 წლის მოჭადრაკის ბოლოდროინდელი შედეგები, და აქაც ოთხ პარტიაში მოპოვებული სამი ქულა გამოცდილი მწვრთნელის ოპტიმიზმს ნამდვილად ამართლებს.

დაბოლოს, ბლედში ფიდეს მორიგი კონგრესიც მიმდინარეობს. მაგრამ ჯერჯერობით მისი პრეზიდენტის — კირსან ილუმჟინოვის გარეშე. ყალმუხეთში რთული საპრეზიდენტო საარჩევნო ბატალიების შემდეგ კირსან ნიკოლაევიჩმა ჭადრაკისთვის ვერ მოიცალა, როგორც ამბობენ, წესრიგი ჯერ იქ უნდა დაამყაროს, ბლედს კი ზვალ-ზეგ ესტუმრებაო.

### მსოფლიო ოლიმპიადა ბლედი (სლოვენია)

#### მე-11 ტური

**ვაჟები**

**საქართველო** — შვედეთი 3:1 (ზურაბ სტურუა — ევგენი აგრესტი 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი — ჯონი ჰეკტორი 0,5:0,5, ზვიად იზორია — ემანუელ ბერგი 0,5:0,5, მერაბ გაგუნაშვილი — ჰილარპ პერსონტიგერი 1:0); გერმანია — რუსეთი 0,5:3,5; ინგლისი — უნგრეთი 1,5:2,5; ჩინეთი — უკრაინა 2:2; ბოსნია — ხორვატია 1,5:2,5; სლოვაკეთი — საბერძნეთი 2:2; ისრაელი — ლიტვა 2,5:1,5; ჰოლანდია — საფრანგეთი 2:2; ინდოეთი — მაკედონია 2:2; პოლონეთი — დანია 3:1; სომხეთი — კუბა 3,5:0,5;

**ქალები**

**საქართველო** — პოლონეთი 0,5:2,5 (მაია ჩიბურდანიძე — ივეტა რაძევიჩი 0,5:0,5, ნანა იოსელიანი — იოანა დვორაკოვსკა 0:1, ქეთევან არახამია — მონიკა სოკო 0:1); რუმინეთი — ჩინეთი 0,5:2,5; რუსეთი — გერმანია 2:1; სომხეთი — აშშ 2,5:0,5; უნგრეთი — უკრაინა 2:1; სლოვაკეთი — ბულგარეთი 1:2; იუგოსლავია — ინდოეთი 1,5:1,5; მოლდოვა — ვიეტნამი 0:3; საფრანგეთი — უზბეკეთი 2:1;

#### სატურნირო ვითარება

**ვაჟები**

1. რუსეთი (32 ქულა) 2. უნგრეთი (30) 3. **საქართველო** (28) 4. ინგლისი (27,5) 5. ხორვატია (27,5) 6. პოლონეთი (27) 7. ჩინეთი (27) 8. სომხეთი (27) 9. უკრაინა (27) 10. კანადა (27)

**ქალები**

1. **საქართველო** (24,5) 2. ჩინეთი (24) 3. რუსეთი (22,5) 4. პოლონეთი (21,5) 5. აშშ (21) 6. ვიეტნამი (21) 7. სომხეთი (21) 8. უნგრეთი (20,5) 9. ბულგარეთი (20) 10. რუმინეთი (19,5)



FIBA-Europe CHALLENGE-CUP

# ქაქოი ლითვა, ლითვა ნეთ!

## აზერბაიჯანელებს ბურთი არ ანახეს

**ხიმიკი 131:59 ნტდ**

**ხიმიკი:** შმილი (3), მიხაილჩენკო (13), პაშჩენკო (12), ფატინი (17), კორონჩენი (11), მაქსიმენკო (18), უშაკოვი (14), ბუხკოვი (13), ვინოგრადოვი (7), ჟოვკოვიჩი (23)
**ნტდ:** იუსუბოვი (1), პაშაევი (13), სარიევი (4), ნიფთალიევი (7), ჰამირზადე (4), სამოილოვი (12), ჰისარევი (2), ბახშიევი (16)

თბილისის „დინამოსა" და უკრაინული იუჟნის „ხიმიკის" თავკაცებმა ისე იცოდნენ, რომ „ჩელენჯ ქაფზე" მათ თანაჯგუფელს, აზერბაიჯანულ ნტდ-ს რიმას კურტინაიტისი წვრთნიდა და თან ხუთი ლიტველი კალათბურთელი თამაშობდა — ახლახან „სარბიელს" ეს ლევან მოსეშვილმაც უთხრა და ზეზდან მატროვიჩმაც. სამშაბათს კი მწვრთნელთათვის ყველაფერი გაცხადდა: ბაქოელები უკრაინაში ჩავიდნენ და ჯგუფური ეტაპის მათთვის პირველი მატჩი „დინამოს" მძლეველ „ხიმიკთან" 72 ქულით წააგეს. ნტდ-ში ლიტველები არ აღმოჩნდნენ, უმრავლესობა შარშან თბილისში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრებთან 65 ქულით დამარცხებული აზერბაიჯანის ნაკრების წევრები იყვნენ.

იუჟნელები, რომელთაც ევროტურნირის მატჩისთვის საკადრისი საკუთარი დარბაზი არა აქვთ, ბაქოელებს ოდესაში, „ჩერნომორეცის" დარბაზში დაუხვდნენ. პირველ წუთებში აზერბაიჯანელები დაფაცურდნენ და მატჩის მეოთხე წუთისთვის ვინმეს შესაძლოა ეფიქრა, ტოლძალოვანი გუნდები თამაშობენო — ზაურ ფაშაევის აქტიურობის წყალობით ნტდ კუდში მისდევდა „ხიმიკს". პირველი ათწუთეულის ბოლოდან მოყოლებული კი სტუმრებს შავი დღე დაადგათ.

თბილისისა არ იყოს, ოდესაშიც იუგოსლავიელები მძლავრობდნენ: ვლადან ჟუგკოვიჩმა 23 წუთში 23 ქულა გააკეთა, დანილო ფატინმა კი 22-ში — 17. სხვათა შორის, ფატინმა ქართველებსაც 17 ქულა ჩაუგდო, ჟუგკოვიჩმა კი თბილისურ მონაგარს ოცი ქულით გადააჭარბა. პირველი ათწუთეული 36:18 მოიგო „ხიმიკმა" და რაც დრო გადიოდა, მასპინძლები გამუდმებით ზრდიდნენ სხვაობას.

72-ქულიანი მარცხი ხომ დიდი სირცხვილია, მაგრამ აზერბაიჯანელ ზაურ ფაშაევს მთლად თავი მოეჭრა. ეს ის ფაშაევია, დებიუტში თავსატკივარი რომ გაუჩინა იუჟნელებს. ჰოდა, ეტყობა, მასპინძლებმა ზაური მიზანში ამოიღეს და ჯამში 17 ბურთი დააკარგვინეს, რაც რა შედარებაა და, ხეირიან ევროპელ უკანახაზელებს მთელი სეზონის მანძილზე არ უგროვდებათ.

ჯგუფიდან გამსვლელი ერთი გუნდის ვინაობა, თამამად ითქმის, გარკვეულია — იუჟნელები ბაქოში 72 ქულაზე მეტს არ წააგებენ. ისე კი რაკილა ულიტველოდ არიან, აზერბაიჯანელების ძლევა არც თბილისელებს გაუჭირდებათ, „დინამო" ბაქოში 13 ნოემბერს ითამაშებს.

**ირაკლი ბერტაია**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხიმიკი | 2 | 2 | 0 | 215:138 | 4 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 79:84 | 1 |
| ნტდ | 1 | 0 | 1 | 59:131 | 1 |



ვლადან ჟუგკოვიჩმა „დინამოს" ნტდ-ც მიაყოლა

# პატ რაილი სტეფანიას მთავარ როლს არ აძლევს



ვლადიმერ სტეფანიას „ინდიანასთან“ არ დაუზოგავს თავი

5 ნოემბერი

**მაიამი 79:83 ინდიანა**

**მაიამი:** ბუტი (16), ჯონსი (17), ჯ. ბატლერი (14), ალენი, გრანტი (5 ქულა, 18 მოხსნა); **სტეფანია** (20 წუთი, 11 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა), რ. ბატლერი (8), ჯეიმსი (4), მარჯსი (4)

**ინდიანა:** ტინსლი (2), არტესტი (9), ჰარინგტონი (6), ონილი (22 ქულა, 13 მოხსნა), ბ. მილერი (28); მერსერი (12), ბენდერი (4), ფოსტერი, სტრიკლენდი

ჯიგრიანი გუნდია „მაიამი“ და თავის დაზოგვაც არ სჩვევია. ეს თვისება საერთოდაც ახასიათებთ ხოლმე პატ რაილის გაწვრთნილებს, მაგრამ ეს გუნდი მაინც ბევრი წაგებისთვისაა განწირული. კი, რაილის შეგირდები არასდროს არავის დაესესხებიან მოგების წყურვილს, მაგრამ ახლა მათ სხვა რამ აკლიათ, ის რაც არასდროს ყოფილა დეფიციტი დიდი პატის სამწყსოში. ესაა ნიჭი და კლასი, რაც საფუძვლად უდევს ნბა-ს ყველა ზეგუნდს და რაც „მაიამის“ ამჟამად ყველაფერზე ნაკლებად მოეძევება.

გუშინწინ „პითი“ ვარსკვლავებით განებივრებულ „ინდიანას“ ხვდებოდა და თითქმის მოუგო, მაგრამ მხოლოდ თითქმის. სასტარტო ხუთეულში მალიქ ალენის და ტრევის ბესტის მყოლ რაილის ყოველთვის ექნება მაიკ ჯეიმსისა და ვლადიმერ სტეფანიას იმედი, ეს სათადარიგოები ბოლომდე დაიხარჯებიან და ნებისმიერ მეტოქეს გამოსწურავენ ოფლსა და ენერგიას, მაგრამ ამ ხალხით თამაშების ნახევრის მოგებაც კი ერთობ გაუჭირდება თუნდაც რაილისთანა დიდ სტრატეგს.

ვოვა სტეფანია ამჯერადაც ცოფიანივით შეიჭრა მოედანზე და ფარქვეშ მეტოქეს კოცონი შეუნთო. ბოლო მეოთხედში ის კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავისიანთა შორის და ამ მონაკვეთში ექვსი მეტად საჭირო ქულა გააკეთა, როცა გუნდები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ „მაიამიმ“ მაინც წააგო.

მატჩის ბოლოს ინდიანელთა კლასმა გადაწონა მასპინძლების მონდომება. დაბალმა ბრაიან გრანტმა ვერაფერი მოუხერხა სტუმართა ზორბა მეფარეებს, ჯერმენ ონილს და ბრედ მილერს. ამ უკანასკნელმა, ფაქტობრივად, გამოძერწა ის ოთხქულიანი უპირატესობა, რომლითაც „ინდიანამ“ იმარჯვა. 77:77 ანგარიშზე მან ფარქვეშ ხელ-ფეხთა ტყეში ღრიჭო შენიშნა და იქ შეაჩეჩა ბურთი ონილს და ამანაც საშიშად მოქცეული ცხვირ-პირით დაატენა ბურთი მასპინძლებს. შემდეგ, უკვე „მაიამის“ შეტევისას კი იგივ მილერმა „პითის“ ლიდერ ედი ჯონსის ნასროლს ოსტატურად დაუფარა. ის მერეც მოვლენების ცენტრში დარჩა და ბოლო 22 წუთში ოთხიდან ოთხი საჯარიმოთი გააფორმა „პითის“ მარცხი.

სტეფანია კი მატჩის ბოლო წუთებს სათადარიგოებში შეხვდა. ფაქტია, რაილი ბოლომდე ვერ ენდო მას. ალბათ დღემდე მიიჩნევს ქართველს ეპიზოდური როლების შემსრულებლად და ურჩევნია, სასტარტო ხუთეულში დაბალ თავდამსხმელ ბრაიან გრანტს ასევე თავდამსხმელი მალიქ ალენი შეუწყვილოს და არა ნამდვილი ცენტრი სტეფანია. ალენის სარგებლობის განსასაზღვრად კი მატჩის ოქმში ჩახედვას ნუ დაიზარებთ.

# ცქიტიშვილმა გაკვეთილი არ იცოდა

**დენვერი 87:103 ატლანტა**

**დენვერი:** ვიტნი (7), ჰამილტონი, პოუზი (21), ჰოვარდი (25 ქულა, 14 მოხსნა), ბლუნტი (4); ვაიტი (8), ილარიო (7), ბოუენი (7), ანდერსონი (6), სატერფილდი (2), დ. ჰარვი, **ცქიტიშვილი** (6 წუთი, 1 პასი)

**ატლანტა:** ტერი (14), ნიუბილი (8), რობინსონი (23), აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 12 მოხსნა), რეთლიფი (8); ჰენდერსონი (17), გლოვერი (14), დევისი (2), მაკასკილი, ჰემი, დიკაუ, ა. ჰარვი

„პორტლენდთან“ დაუგეგმავ მოგებას ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა“ „ატლანტასთან“ დაგეგმილი მარცხი მოაყოლა და ოთხ თამაშში სამი წაგებით ცხრილის ფსკერზე ჩაეშვა, „ატლანტა“ კი პირიქით, დივიზიონის ლიდერი შეიქნა.

ატლანტელთა ახალწვეული გლენ რობინსონი გუშინწინ აღმოსავლეთ კონფერენციის კვირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ამ გუნდისთვის პირველივე თამაშებში გაწეული დახმარებისთვის რობინსონმა სამივე სადებიუტო მატჩში მოიხვეჭა 30 ან მეტი ქულა და ეს მომცრო პრიზი მასზე სწორედაც ალალი იყო. ახლა მან ოდნავ ნაკლები შეაგროვა, რაც მას არც გადაღლით აუხსნია და არც ხელმოცარვით. თქვა, არ მინდოდა და არ ჩავყარე: „ცხადია, შემეძლო ბევრად მეტი ბურთი მესროლა და მეტი ჩამეგდო, მაგრამ ეს არაა ჩემი თვითმიზანი. მე ბომბარდირის ტიტულის შოვნას კი არა, ჩემი ახალი გუნდის პლეი ოფში გაყვანას ვცდილობ“.

რობინსონმა თავისი 23 ქულის მნიშვნელოვანი ნაწილი პირველ ნახევარში უმარჯვა „დენვერს“ და ტაიმიც 15-ქულიანი უპირატესობით მოაგებინა თავისიანებს. „დენვერმა“, რომელსაც მთელი მატჩის განმავლობაში არ ღირსებია დაწინაურება, მესამე მეოთხედის მიწურულს 70:70 გათანაბრება შეძლო, ძირითადად ჯუონ ჰოვარდის და ჯეიმს პოუზის მეცადინეობით, მეტს კი ვერ გასწვდა. ბოლო მეოთხედი „ატლანტამ“ განსაკუთრებული მღელვარების გარეშე მოიგო.

„ჩვენ შესანიშნავი მეოთხედი ჩავატარეთ, მაგრამ მხოლოდ ერთი, თამაში კი ოთხისგან შედგება. კარგი გუნდები ოთხივეს კარგად თამაშობენ“ — თქვა ნამარცხევს ჯუონ ჰოვარდმა. „დენვერის“ ლიდერმა მატჩამდე ბოდიში მოუხადა თანაგუნდელებს სეზონამდელ თამაშში ჩხუბისთვის, რისთვისაც ორი მატჩის იძულებით გამოტოვება მოუხდა და გუნდი ულიდეროდ დატოვა. ახლა მან სადებიუტო შეხვედრაში 25 ქულა და ხურდად 15 მოხსნა გააკეთა, რითიც თავისიანებს უსიტყვოდ უთხრა, ფორმაში ვარ და ჩემი იმედი გქონდეთ. მაგრამ აქ საკითხავი ისაა, თავად ჰოვარდს აქვს თუ არა თანაგუნდელთა იმედი?

ჩვენი ბიჭიც ვახსენოთ. ნიკა ცქიტიშვილი მეორე მეოთხედიდან ჩაერთო შეტევაში და არცთუ კარგად. მან ზედიზედ სამჯერ დაკარგა ბურთი და მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა ექვს წუთში საბოლოოდ გამოიყვანა მოედნიდან.



ნიკა ცქიტიშვილს „ატლანტასთან“ თამაში ჩაუვარდა

**ჰიუსტონი 97:104 სიეტლი**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (33 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), გრიფინი (23), მობლი (22)

**სიეტლი:** პეიტონი (20 ქულა, 18 პასი, 7 მოხსნა), ლუისი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**მინესოტა 90:86 ვაშინგტონი**

**მინესოტა:** გილი (22), გარნეტი (17 ქულა, 16 მოხსნა), ჰადსონი (17)

**ვაშინგტონი:** სტეკჰაუზი (25), ლუ (13), ჯორდანი (10)

**კლივლენდი 89:70 ლეიკერსი**

**კლივლენდი:** დევისი (24), ილგაუსკასი (23)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (15 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი), უოლკერი (14)

**სან ანტონიო 93:73 გოლდენ სტეიტი**

**სან ანტონიო:** პარკერი (21), დანკანი (13 ქულა, 10 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** ჯეიმისონი (16), არენასი (14 ქულა, 12 მოხსნა), რიჩარდსონი (14)

**ორლანდო 125:121 საკრამენტო**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (41), ჰილი (21), მილერი (14)

**საკრამენტო:** ჯექსონი (26), ვებერი (23), სტოიაკოვიჩი (22), კრისტი (21)

# ტკბილი სიტყვა ყიამყრალზე

## არ იქნა პეიტონის გაძლომა

„შარშან გვეგონა, რომ კარგი გუნდი ვიყავით, ახლა კი ნამდვილად კარგი გუნდი ვართ, ხედავთ განსხვავებას? ვერ წარმოიდგენთ, რამდენად გაგვახარა ჩვენს გვერდით გრანტ ჰილის ხილვამ. ის უძლიერესი კალათბურთელია და მნიშვნელოვნად გაგვაძლიერა. „საკრამენტოს“ მის გარეშე ალბათ ვერ მოვუგებდით“. „ორლანდოს“ ოქრობიჭუნა ტრეისი მაკგრეიდი ნამატჩევს საკუთარ თავს არ ჰგავდა. ჩვეულებრივ ის ასეთ დროს თვითქებითაა დკავებული, ახლა კი თანაგუნდელ გრანტ ჰილს შეასხა ხოტბა.

ჰილი იმსახურებდა ამას, კოჭის ტრავმამ ორი წელი გამოატოვებინა და ჯერაც ბოლომდე მოურჩენელი ფეხით 21 ქულა ჩაუგდო ძლიერ მეტოქეს. ამასთან მან ერთხელ ჩასატენად ახტომაც გაბედა და ბედად მშვიდობიანად დაეშვა. გაწეული რისკის ჯილდოდ მან ორლანდოური პუბლიკის აპლოდისმენტები დაიმსახურა და აკი ყიამყრალმა თანაგუნდელმაც შეაქო.

მაგრა თუკი ამ ლამაზი თამაშის რომელიმე მონაწილე ქებას იმსახურებდა, ეს თავად ტრეისი მაკგრეიდია, ნბა-ს ფართა რისხვა. თითქოს 47-ქულიანი თამაში არ ეყოო, მილუოკური სპექტაკლის შემდეგ მაკგრეიდიმ ახლა თანაქალაქელებს უჩვენა სასწაულ სროლათა ფოიერვერკი და ამჯერადაც ასცდა 40-ქულიან ნიშნულს. პირველ რიგში მისი და არა ჰილის წყალობით. მოუგო „ორლანდომ“ „საკრამენტოს“.

სამართლიანობა დავიცვათ და ნუ გამოვტოვებთ იმ ფაქტს, რომ „საკრამენტომ“ ვერც ახლა გაუყვანა მეტოქეს სრული შემადგენლობა. „მეფეებს“ ძირითადი გამთამაშებლის, მაიკ ბიბის იმედი ამ თვეში აღარა აქვთ, მაგრამ იმას კი რას იფიქრებდნენ, რომ ახლადმორჩენილი კრის ვებერის ნაცვლად ბედისწერა ვლადე დივაცს და ჰიდაიეთ თურქოღლუს ერთდროულად შეამთხვევდა ტრავმას. ასაკოვანი სერბი ცენტრის და ჩაუქი თურქი ფორვარდის არყოფნის მიუხედავად, „მეფეებმა“ მაინც მოაგროვეს საკმაოდ ბევრი, 121 ქულა. ერთბაშად ოთხი სტუმარი გამოვიდა ორ ათეულზე მეტ ქულას, მაგრამ იმ დღეს მოედანზე არც ვებერი ბატონობდა, არც სტოიაკოვიჩი და არც ბობი ჯექსონი. იქ ბატონი ტრეისი მაკგრეიდი იყო.

მაკგრეიდის ამბავი გასაგებია, ის 23 წლისაა და ახლა კალათბურთით გაბრუებულია, მაგრამ აი, სიეტლელი გერი პეიტონის ხარბი თამაში ბევრს აოცებს. პეიტონი კარგა ხანია, გადასცდა 30 წელს და ახლა ბუნების ყველა კანონის თანახმად თანდათან დაბლა უნდა დაქანდეს, ის კი საუკეთესო ფორმაშია და პროგრესირებას სკოლის მოსწავლესავით განაგრძობს. მისი „სიეტლი“ მასზე დაყრდნობით ყოჩაღად მიაბიჯებს და ჯერ მარცხის სიმწარე არ იცის. პეიტონის რაზმმა ახლა სისხლსავსე „ჰიუსტონი“ მოინელა, თავად პეიტონმა კი 20 ქულასთან ერთად 18 პასი გააკეთა. ეს საუკეთესო შედეგია მის 13-წლიან კარიერაში და აგრეთვე საყოველთაო საამსეზონო რეკორდიცაა.

აქვე ვახსენოთ „ჰიუსტონის“ ყბადაღებული ახალწვეული იაო მინგი. „რაკეტების“ მწვრთნელს რუდი ტომიანოვიჩს ჯერაც აქვს ამ აყენებული ჩინური კედლის იმედი და კიდევ დიდხანს ექნება, მაგრამ სადღეისოდ მისი სარგებელი ნულის ტოლია. სწორედ ამდენი ქულა გააკეთა მინგმა „სიეტლთან“ მატჩში. არადა, იმსიგრძეა, ბურთს აუხტომლად დებს კალათში და 15 წუთი მაინც უქმად დაბორტებდა მოედანზე.

ისევ მარცხი შეხვდა ჯორდანის „ვაშინგტონს“. დედაქალაქელები ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებული ზევარსკვლავის კევინ გარნეტის „მინესოტას“ სტუმრობდნენ და მხოლოდ გაწბილებას გამორჩნენ. მისმა უხუცესობამ მაიკლ ჯორდანმა ამჯერად ვერ გვიჩვენა სასწაულები და თავისიანებს 10 ანუ მოხუცი მაიკლისთვისაც კი ძალიან ცოტა ჩააგდო.

დაბოლოს, სენსაცია გაიჩარხა კლივლენდში, იქაურმა ჯაგლაგა „კავალერიამ“ უძლეველ „ლეიკერსს“ სძლია. ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს: პირველი — კობი ბრაიანტმა ისევ ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ამჯერად ცუდად ისროლა და 15 ქულით შემოიფარგლა; და მეორე — მასპინძელთა მუდამ ტრავმიანმა ლიტველმა ცენტრმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა, რომელიც რაღაც სასწაულით ჯანმრთელია, ისარგებლა მეტოქის რაზმში ყველაზე დიდი ხვადაგის, შაკილ ონილის არყოფნით და „ლეიკერსს“ ჩაუგდო 23 ქულა, მოუხსნა რვა ბურთი და ხურდად მომხდურთ ოთხჯერაც დაუფარა.

**ირაკლი ფირცხვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 4 | 0 | 100,0 |
| ორლანდო | 4 | 1 | 80,0 |
| ფილადელფია | 2 | 1 | 66,7 |
| ბოსტონი | 1 | 2 | 33,0 |
| მაიამი | 1 | 3 | 25,0 |
| ვაშინგტონი | 1 | 3 | 25,0 |
| ნიუ იორკი | 0 | 4 | 00,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ატლანტა | 3 | 1 | 75,0 |
| დეტროიტი | 3 | 1 | 75,0 |
| ინდიანა | 3 | 1 | 75,0 |
| ნიუ ორლეანი | 2 | 1 | 66,7 |
| ჩიკაგო | 2 | 2 | 50,0 |
| კლივლენდი | 2 | 2 | 50,0 |
| ტორონტო | 2 | 2 | 50,0 |
| მილოუკი | 1 | 2 | 33,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 3 | 0 | 100,0 |
| სან ანტონიო | 4 | 1 | 80,0 |
| მინესოტა | 3 | 2 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| დენვერი | 1 | 3 | 25,0 |
| იუტა | 1 | 3 | 25,0 |
| მემფისი | 0 | 4 | 00,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 4 | 0 | 100,0 |
| საკრამენტო | 3 | 2 | 60,0 |
| ლეიკერსი | 2 | 3 | 40,0 |
| კლიპერსი | 1 | 2 | 33,3 |
| ფინიქსი | 1 | 3 | 25,0 |
| პორტლენდი | 1 | 3 | 25,0 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 4 | 20,0 |




ორასინი და რიჩარდი უბრალონი და უპოვარნი შეიყარნენ და მილიონერები გაიყარნენ

# რა დროს ეგ იყო ამ სიბერეში...

## სერენას და ვინუსის მშობლები ერთეულთა თანრიგში გადავიდნენ

**ცხელი ამბავი:** ამ ორიოდ დღის წინ ერთმანეთს ოფიციალურად გაეყარნენ რიჩარდ და ორასინ უილიამსები. მათ, ვისაც სპორტულ სამყაროში ამ მობერებული შავკანიანი წყვილის ადგილი და სტატუსი არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ისინი საძლეისოდ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი გოგონების, ვინუს და სერენა უილიამსების ღვიძლი მამა და დედა არიან.

„მე ყოველთვის თბილად და ტკბილად ვქცეოდი გოგოებს და ვუფრთხილდი, რომ ჩვენს შორის მსგავსი არაფერი მოხდებოდა — ამბობს ორასინ დედა — მაგრამ ეს მოხდა. ახლა ორივენი საკმარისად დიდები არიან იმისთვის, რომ კარგად გაერკვნენ ყველაფერში. მეც და რიჩარდსაც უწინდებურად გვიყვარს ისინი და ორივენი ერთად განვაგრძობთ მათ საკეთილდღეოდ მუშაობას. რიჩარდს კი გულწრფელად ვუსურვებ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში."

ენაწყლიან ქალბატონ ორასინისგან განსხვავებით, ყიამყრალ ბერიკაც რიჩარდს ამ ამბავთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

ისე, უილიამსთა ოჯახი კი დაიშალა, მაგრამ ალბათ უილიამსთა „კლანს" არაფერი დამუქრებია. გოგონები ჯანზე და თამაშის ხალისზე არიან, მამა რიჩი ხომ უმალ გათეთრდება, ვიდრე შვილებს მიატოვებს. აკი ორასინ დედამაც თქვა, ერთად ვიმუშავებთ ჩვენი გოგონებისთვისო. ვის მოუნდება ამათთან დაშორება? სერენა და ვინუსი ტურნირს ტურნირზე იგებენ და მამა რიჩის სეიფში მილიონს მილიონზე დებენ. რიჩარდმა ჯერ კიდევ შვილების ბავშვობაში გადაწყვიტა, ჩოგბურთს ვასწავლი და ისინი ხეირს დამაყრიანო. ხეირი რომელია...

აღსანიშნავია, რომ მამა რიჩარდი დღემდე რჩება შავდების ერთადერთ და უცვლელ მწვრთნელად.



## კლასიფიკაცია

საჩოგბურთო სეზონი გასრულებასაა და დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროში აცივებასთან ერთად ქალ-ვაჟთა საკლასიფიკაციო სიები საბოლოოდ იყინება. ვერ დავიჩემებთ და არ მოვყვებით იმის მტკიცებას, რომ, ვთქვათ, ტიმ ჰენმანი თავს მოიკლავს, რათა მერვე საფეხურიდან მეშვიდეზე ანაცვლოს და რომ ამ კლასიფიკაციაში ზევით სვლის სურვილი ჩოგბურთელთა მთავარი სტიმულია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეს სიები ყველაზე ობიექტურად გვეხმარება ჩოგბურთელთა ფორმიანობის და სიძლიერის დადგენაში.

მაგალითად, კლასიფიკაცია შესანიშნავად ასახავს სერენა უილიამსის უპირატესობას დანარჩენ გოგონებზე, თვით უფროს დაიკო ვინუსზე, რომელსაც უმცროსი, მაგრამ გაცილებით ჯანიანი დედმამიშვილის დაწევის შანსი პრაქტიკულად აღარა აქვს, ცხადია, წლეულს.

კაცებში წლეულს ყველაზე მრისხანენი ლეიტონ ჰიუიტი და ანდრე აგასი იყვნენ, რასაც აგერ, ჩემპიონთა რბოლაც უჩვენებს ძველებურ კლასიფიკაციასთან ერთად, ხოლო ქვედა ეშელონებში პიტ სამპრასის გვარის ამოკითხვით ერთხელაც ვრწმუნდებით, რომ ეს დიადი სპორტსმენი დაბერდა, ყოველ შემთხვევაში, სულ მცირე, ფორმაში არაა მაინც.

| ქალები | |
|---|---|
| 1 (1) სერენა უილიამსი (აშშ) | 5 596 |
| 2 (2) ვინუს უილიამსი (აშშ) | 4 844 |
| 3 (3) ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 3 520 |
| 4 (4) ჟუსტინ ენენი (ბელგია) | 3 133 |
| 5 (5) ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3 068 |
| 6 (6) კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2 838 |
| 7 (7) მონიკა სელეში (აშშ) | 2 796 |
| 8 (8) დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2 640 |
| 9 (9) ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 2 403 |
| 10 (10) მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2 348 |
| 11 (12) ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1 874 |
| 12 (11) ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 1 728 |
| 13 (13) პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1 701 |
| 14 (14) ჩანდა რუბინი (აშშ) | 1 685 |
| 15 (16) სილვია ფარინა ელია (იტალია) | 1 569 |
| 16 (17) ანა სმაშნოვა (ისრაელი) | 1 551 |
| 17 (15) მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1 539 |
| 18 (18) ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) | 1 444 |
| 19 (19) ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1 393 |
| 20 (20) ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1 295 |

| ვაჟები | |
|---|---|
| 1 (1) ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 3 835 |
| 2 (2) ანდრე აგასი (აშშ) | 3 395 |
| 3 (5) მარატ საფინი (რუსეთი) | 2 845 |
| 4 (3) ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 2 340 |
| 5 (10) კარლოს მოია (ესპანეთი) | 2 330 |
| 6 (7) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 2 290 |
| 7 (6) ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 2 235 |
| 8 (9) ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2 215 |
| 9 (12) ენდი როდიკი (აშშ) | 2 045 |
| 10 (7) ტომი ჰაასი (გერმანია) | 2 020 |
| 11 (11) ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1 970 |
| 12 (13) დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1 812 |
| 13 (16) პიტ სამპრასი (აშშ) | 1 735 |
| 14 (14) ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1 725 |
| 15 (18) გილერმო კანასი (არგენტინა) | 1 725 |
| 16 (21) პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) | 1 681 |
| 17 (17) ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1 658 |
| 18 (4) სებასტიენ გროჟანი (საფრანგეთი) | 1 640 |
| 19 (20) ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 1 555 |
| 20 (19) სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 1 525 |

| ჩემპიონთა რბოლა | | | |
|---|---|---|---|
| 1 (1) ლეიტონ ჰიუიტი | 767 | 11 (9) ალბერტ კოსტა | 394 |
| 2 (2) ანდრე აგასი | 679 | 12 (12) დავიდ ნალბანდიანი | 355 |
| 3 (3) მარატ საფინი | 569 | 13 (13) პიტ სამპრასი | 347 |
| 4 (4) ხუან კარლოს ფერერო | 468 | 14 (14) ტომას იოჰანსონი | 345 |
| 5 (8) კარლოს მოია | 466 | 15 (15) გილერმო კანასი | 345 |
| 6 (6) როჯერ ფედერერი | 458 | 16 (17) სებასტიენ გროჟანი | 328 |
| 7 (5) ირჟი ნოვაკი | 447 | 17 (16) ფერნანდო გონსალესი | 326 |
| 8 (7) ტიმ ჰენმანი | 443 | 18 (22) პარადორნ შრიჩაფანი | 321 |
| 9 (11) ენდი როდიკი | 409 | 19 (18) ალექს კორეჩა | 311 |
| 10 (10) ტომი ჰაასი | 404 | 20 (20) სხენგ შალკენი | 305 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# ტომი სალოს ქალივით ფეხებზე შუშრებენ

**დეტროიტი 0:2 ჩიკაგო 0:0 0:1 0:1**

**0:1 სალივანი (22), 0:2 ნიკოლიშინი (59)**

ნამეტანი აჩქარდა დეტროიტელთა ლიდერთაგანი ბრეტ ჰალი, როცა ჩემპიონატის სასტარტო მატჩის მოგების შემდეგ ახალი თავკაცი დეივ ლიუისი სკოტი ბოუმენის ტოლფას მწვრთნელად შერაცხა. როგორც დეტროიტის შემდეგმა თამაშებმა ცხადყო, გუნდი ჯერ შორსაა იმ დონისგან, რომლისაც ადრე იყო.

**რეინჯერსი 5:2 ედმონტონი 2:0 3:1 0:1**

**1:0 ნედვედი (4), 2:0 დვორჟაკი (9), 3:0 მესიე (25), 3:1 კომრი (34), 4:1 სამუელსონი (37), 5:1 რ. მიური (40), 5:2 მარჩანტი (56)**

რეინჯერსი ედმონტონელ მეკარე ტომი სალოს უნდა უმადლოდეს. მან ძალიან სუსტად ითამაშა, 5 შაიბიდან 2 შეედმა ფეხებს შუა გაუშვა.

**სან ხოსე 5:2 ლოს ანჯელესი 2:1 0:0 3:1**

**0:1 მოდრი (4), 1:1 ლაიონსი (11), 2:1 ლაიონსი (15), 3:1 რატიე (50), 4:1 მარჩი (57), 5:1 რატიე (58), 5:2 არმსტრონგი (59)**

**კაროლინა 1:2 ფილადელფია 0:0 1:1 0:0 0:1**

**0:1 უილიამსი (23), 1:1 ბრინდამორი (26), 1:2 ლეკლერი (62)**

საიუბილეო გოლები ძნელი გასატანია. ჯონ ლეკლერი ზედიზედ 5 მატჩის განმავლობაში ელოდა თავისი ფილადელფიური კარიერის მე-300 გოლს, მაგრამ ვერა და ვერ აღწევდა მიზანს. თანაც მისმა გუნდმა ეს ხუთივე თამაში მოიგო. და აი, ამჯერად ოვერტაიმში გაუმართლა.

**მონრეალი 2:5 სენტ ლუისი 1:0 1:3 0:2**

**1:0 ბულისი (19), 1:1 ბოგუნიცკი (23), 2:1 კოივუ (25), 2:2 რუჩინსკი (29), 2:3 დემიტრა (36), 2:4 ბოგუნიცკი (54), 2:5 უეიტი (59)**

**ტორონტო 4:3 ტამპა 0:0 1:2 3:1**

**0:1 კიფი (29), 1:1 მოგილნი (37), 1:2 რუა (38), 2:2 მოგილნი (43), 2:3 რიჩარდსი (49), 3:3 ტაკერი (55), 4:3 მოგილნი (58)**

ჩემპიონატის ერთ-ერთ მოულოდნელ ლიდერს, ტამპას, ნოემბერში იღბალმა ზურგი აქცია — ზედიზედ სამი მარცხი იწვნია. ამჯერად „ელვები" ფრეს მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე ალექსანდრ მოგილნის დარტყმის შემდეგ ნიკოლაი ხაბიბულინის ყვანჯისგან ასხლეტილი შაიბა პირდაპირ კარის ბადეში შეგორდა.

**კოლუმბუსი 3:4 ვაშინგტონი 1:2 2:0 0:1 0:1**

**0:1 ბონდრა (12), 0:2 ჩელპერნი (15), 1:2 სენდერსონი (19), 2:2 რაიტი (26), 3:2 უიტნი (31), 3:3 გრირი (41), 3:4 ბონდრა (65)**

ვაშინგტონის ლიდერმა პეტერ ბონდრამ ძირითადი დროის მიწურულს სულელური ჯარიმა მიიღო, რის გამოც ოვერტაიმის დასაწყისში მის პარტნიორებს უმცირესობაში მოუხდათ წვალება, მაგრამ... „სლოვაკმა მსროლელმა" დამატებითი დროის დასრულებამდე 3 წამით(!) ადრე გამოისყიდა ცოდვა და თავისიანები გაახარა.

**ნიუ ჯერსი 2:3 კალგარი 1:0 1:2 0:1**

**1:0 დანტონი (12), 1:1 გ. იუჰანსონი (29), 1:2 იელი (36), 2:2 უაიტი (37), 2:3 დრური (44)**

კრის დრური სადაც უნდა თამაშობდეს, ყველგან გადამწყვეტი გოლების ოსტატია. სწორედ თავიანთ ახალ პარტნიორს უნდა უმადლოდნენ კალგარელები, რომ ბოლო მატჩებში ასერიგად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

**საგუნდო ლარიბიანი**

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 12 | 9 | 2 | 0 | 1 | 44:23 | 20 |
| პიტსბურგი | 11 | 7 | 2 | 0 | 2 | 40:33 | 16 |
| ნიუ ჯერსი | ·10 | 7 | 0 | 0 | 3 | 26:17 | 14 |
| რეინჯერსი | 15 | 5 | 2 | 0 | 8 | 37:49 | 12 |
| აილენდერსი | 12 | 3 | 1 | 0 | 8 | 29:47 | 7 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 11 | 7 | 2 | 0 | 2 | 37:29 | 16 |
| მონრეალი | 12 | 4 | 4 | 0 | 4 | 33:40 | 12 |
| ტორონტო | 13 | 4 | 2 | 0 | 7 | 41:42 | 10 |
| ოტავა | 9 | 4 | 1 | 0 | 4 | 21:20 | 9 |
| ბუფალო | 12 | 3 | 3 | 0 | 6 | 26:28 | 9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 13 | 7 | 2 | 0 | 4 | 47:36 | 16 |
| კაროლინა | 13 | 5 | 2 | 2 | 4 | 29:32 | 14 |
| ვაშინგტონი | 13 | 6 | 1 | 0 | 6 | 29:36 | 13 |
| ფლორიდა | 12 | 4 | 1 | 1 | 6 | 27:40 | 10 |
| ატლანტა | 11 | 1 | 1 | 1 | 8 | 30:43 | 4 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 11 | 9 | 1 | 0 | 1 | 46:20 | 19 |
| დეტროიტი | 13 | 6 | 2 | 0 | 5 | 42:35 | 14 |
| ჩიკაგო | 12 | 6 | 1 | 0 | 5 | 27:28 | 13 |
| კოლუმბუსი | 12 | 5 | 1 | 1 | 5 | 34:35 | 12 |
| ნეშვილი | 11 | 1 | 1 | 4 | 5 | 24:37 | 7 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 13 | 9 | 2 | 0 | 2 | 45:28 | 20 |
| კალგარი | 13 | 5 | 3 | 2 | 3 | 38:38 | 15 |
| ვანკუვერი | 13 | 5 | 4 | 0 | 4 | 35:34 | 14 |
| კოლორადო | 12 | 4 | 4 | 2 | 2 | 33:28 | 14 |
| ედმონტონი | 12 | 3 | 3 | 1 | 5 | 29:34 | 10 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 13 | 6 | 3 | 1 | 3 | 40:32 | 16 |
| ლოს ანჯელესი | 13 | 6 | 2 | 1 | 4 | 39:38 | 15 |
| სან ხოსე | 12 | 5 | 0 | 1 | 6 | 34:40 | 11 |
| ფინიქსი | 13 | 5 | 0 | 1 | 7 | 28:42 | 11 |
| ანაჰაიმი | 12 | 3 | 3 | 0 | 6 | 31:37 | 9 |

**ბომბარდირები:** ლემიე (პიტსბურგი) 27(7+20); სენტ ლუისი (ტამპა) 20(9+11); გაბორიკი (მინესოტა) 19(10+9); მოგილნი (ტორონტო) 19(8+11); კოვალიოვი (პიტსბურგი) 18(10+8); უეიტი (სენტ ლუისი) 17(5+12); საკიკი (კოლორადო) 16(9+7); მოროზოვი (პიტსბურგი) 16(7+9); დრური (კალგარი) 16(6+10); მოდანო (დალასი), სუნდინი (ტორონტო) და ბერტუცი (ვანკუვერი) 15(6+9); რონინგი (მინესოტა) 15(4+11); იაგრი (ვაშინგტონი) და ნესლუნდი (ვანკუვერი) 14(7+7)



ჩიკაგოელმა ჯონ კლემმა დეტროიტელი სერგეი ფიოდოროვი გვარიანად დააბარბაცა



რომა — კომო. ფრანჩესკო ტოტიმ საგოლედ ერთხელ მოიჭნია





მოიგეს „ჰანოვერის" დამარცხება ოტმარ ჰიცფელდის „ბაიერნს" ასე გაუხარდა



ლივერპული — საუთჰემპტონი. მასპინძელთა ფრანგ ბრუნო შეირუს და სტუმარ ჯეისონ დოდს ბურთი უკან დარჩათ

## იტალია

სერია A
I გადადებული ტური

ატალანტა 1:3 მოდენა
კიევო 3:0 პერუჯა
ემპოლი 3:4 ინტერი
მილანი 1:0 უდინეზე
პარმა 4:3 ბრეშა
პიაჩენცა 0:1 იუვენტუსი
რეჯინა 0:3 ლაციო
რომა 2:1 კომო
ტორინო 2:1 ბოლონია

## თურქეთი

გადადებული მატჩები

დენიზლი 2:2 ბურსა
ფენერბაჩე 6:0 გალათასარაი

## ავსტრია

ბუნდესლიგა. XVII ტური

რაპიდი 2:0 კერნტენი
ბრეგენცი 0:1 აუსტრია
რიდი 4:0 ზალცბურგი
შტურმი 1:1 გრაცერი
ადმირა ვაკერი 3:1 პაშინგი

## რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ალანია 1:1 ლოკომოტივი

## შვედეთი

პლეი ოფი. I მატჩი

ფრიოლუნდა 1:1 გიოტებორგი

## ნორვეგია

პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

ბრანი 2:1 სანდეფიორდი (0:0)

## საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/16 ფინალი

ნანსი 2:1 შატორუ

## საბერძნეთი

თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩები

ვოლუ 0:0 პაოკ
ოლიმპიაკოსი 0:1 კალითეა
ქსანთი 0:0 პანათინაიკოსი
ჩალკიდონა 0:3 აეკ

## პოლონეთი

თასის 1/4 ფინალი
პირველი მატჩები

ოდრა 1:0 პლოცკი
კერამიკა 2:2 ვისლა
პოგონი 2:0 რადომსკო
ვიძევი 2:0 პოლარი

## შოტლანდია

ლიგის თასი. 1/8 ფინალი

აბერდინი 3:1 მოზერველი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

სელტიკი 1:1დ.დ. (პენ. 5:4, 1:1) პარტიკი

## გერმანია

თასის 1/16 ფინალი

ბალინგი 1:2 ვოლფსბურგი
კილი 1:2 ბოხუმი
ბაიერნი 2:1 ჰანოვერი
ოფენბახი 2:3დ.დ. (2:2) ნიურნბერგი
ალენი 3:1 როიტლინგენი
ლევერკუზენი 3:0 შტუტგარტი
ზანქტ პაული 0:3 ვერდერი
კოტბუსი 0:1 კაიზერსლაუტერნი
შალკე 5:0 მიონხენგლადბახი

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ვულვერჰემპტონი 1:1 პორტსმუთი

ლიგის თასი. 1/16 ფინალი

არსენალი 2:3 სანდერლენდი
ბარნლი 2:1 ტოტენჰემი
ჩელსი 2:1 გილინგემი
ფულემი 3:1 ბერი
იფსვიჩი 3:1 მიდლსბრო
ნიუკასლი 3:3დ.დ. (პენ. 2:3, 2:2) ევერტონი
ოქსფორდი 0:3 ასტონ ვილა
შეფილდ იუნ. 2:1 ლიდსი
ვესტ ჰემი 0:1 ოლდემი
ბლექბერნი 2:2დ.დ. (პენ. 5:4, 1:1) უოლსოლი
კრისტალ პალასი 3:0 კოვენტრი
ლივერპული 3:1 საუთჰემპტონი

## ესპანეთი

თასის 1/16 ფინალი

ირუნა 2:1 ბილბაო
ეიბარი 0:0 (პენ. 6:7) ოსასუნა
პალამოსი 3:6დ.დ. (3:3) ბეტისი
ოვიედო 0:4 რეალი
ხეტაფე 1:2დ.დ. (1:1) ვალიადოლიდი
ლეონესა 0:2 ატლეტიკო
სარაგოსა 1:2 ალავესი
ხერესი 2:0 მალაგა
მურსია 1:0 ბადახოსი
ლინარესი 1:2 სევილია
ალმერია 0:1 უელვა
ალიკანტე 3:3დ.დ. (პენ. 5:4, 1:1) ვალენსია

## ჰოლანდია

თასის I ეტაპი

ემენი 0:1 გრონინგენი
ბრედა 3:1 კამბური
ჰაარლემი 2:0 ჰერაკლესი
ტილბურგი 2:1 ტვენტე
გრააფსხაპი 2:0 არნემი
იურე 2:1 ვიტესი (II)
უნა 0:2 ვალვაიკი
დენ ჰააგი — დე ტრეფერსი გადაიდო

## დანია

თასის 1/8 ფინალი

სკივე 0:2 ფარუმი
ნისტვედი 2:1 ვაილე
ოლბორგი 3:0 სილკებორგი
აკადემისკი 1:2 მიდტიულანდი
სკიოლდი 1:2 ესბიერგი
ჰერფიოლგე 0:2 კოპენჰაგენი
ბრონდბიუ 1:1დ.დ. (პენ. 4:2, 1:1) ოდენსე

---

კალათბურთი

## ევროლიგა

Euroleague

პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტური. 6 ნოემბერი

**A ჯგუფი**

სკავოლინი 72:73 ეფესი
აეკ 71:83 პო ორტეზი

**C ჯგუფი**

პარტიზანი 85:86 ულიონსკი

**B ჯგუფი**

ტაუ 75:76 პანათინაიკოსი
უნიკახა 87:74 სიენა
ბუდუჩნოსტი 106:102 ჩალგირისი
ძირითადი დრო 88:88

## ულების თასი

ULEB Cup

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 6 ნოემბერი

**B ჯგუფი**

სკაილაინერზი 63:72 ბამბსა

**D ჯგუფი**

შარლერუა 67:77 რიკო

ქ. თბილისის მერიის
სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის
ტანვარჯიშულ სახეობათა
ბავშვთა და მოზარდთა
ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლა

აცხადებს
6-8 წლის გოგონების მიღებას
მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფებში სავარჯიშოდ.
ბავშვებთან იმუშავებენ გამოცდილი სპეციალისტები,
მწვრთნელები, ქორეოგრაფები და აკრობატები.

ჩვენი მისამართია:
კონსტიტუციის ქ. №6 ტელ: 95-62-59 სამს. 32-58-93 ბინა
(ყოფილი „ლენინის დარბაზი")
მწვრთნელი მაია ცერცვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაბები დედოფალთან

ლონდონს ჩაფრენილა ახალზელანდიელ მორაგბეთა ნაკრები „ოლ ბლექზი“, რომელიც ამ შაბათს თვიქნემში შეასკდება მასპინძელ ინგლისელებს. ახალზელანდიელები ბუკინგემში მიუღია დედოფალ ელისაბედ II-ს. ზელანდიელთა კაპიტან ტეინ რენდელს რიგრიგობით წარუდგენია თანაგუნდელები, იმათ შორის კი, რა თქმა უნდა, მთაკაცი ჯონა ლომუ.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS კვებეკიდან

# დახურეს

კვებეკის პუბლიკის ფავორიტებმა, იქაურმა წყვილმა მარი ფრანს დუბრეილმა და პატრის ლაზონმა მოხდენილი ცეკვით დახურეს ფიგურული სრიალის სეზონის გამხსნელი შეჯიბრი, კანადის საერთაშორისო ტურნირი.



REUTERS ქაბულიდან



REUTERS სიდნეიდან

# კაცები და ფუი, ეშმაკს

თალიბთაგან დახსნილ ქაბულში აქამდე აკრძალული რაგინდარა სპორტის ენთუზიასტები ისე გათამამდნენ, რომ დღე არ გაივლის, რაიმე შეჯიბრი არ გამართონ. ჩამშვიდებული ავღანეთში ბოდიბილდინგის მოყვარეებიც გამოცოცხლებულან და თალიბთა ხუთწლიანი მმართველობის შემდეგ ოილად დაუბერავთ კუნთები.

ხოლო ის კი, რაც სიდნეიში ხდება, ქაბულში ვერასდროს მოხდება. იქ დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა ჰომოსექსუალისტთა სპორტული თამაშები, სადაც 77 ქვეყნიდან ჩასულან გუნდები. თამაშების გახსნაზე მოცეკვავე და მომღერალი ეს გოგონები კი სულაც არ არიან გოგონები.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge